ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 19 ოქტომბერი, 2022 | №206 (8984) | ფასი: 80 თეთრი

## ვაკის პარკის ტრაგედია — დაკავებულია 9 ადამიანი

გვ.5



### ლაშა ფურცხვანიძის ადვოკატი — ბრალდება აბსურდია, საქმეში არანაირი მტკიცებულება არ არის

# „კალაძე თუ მოინდომებს, გადადგება, ივანიშვილი ვერ შეაჩერებს“



გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „13 წლის ბავშვი მიწაში წევს, მერმა იცის, რომ ამ ყველაფერში მისი წილი პასუხისმგებლობაა და რის გამო რჩება სამსახურში?!“



### დარწმუნებული ვარ, კალაძემ იცის, რა მოხდა სინამდვილეში. სად გაწყდა ეს ჯაჭვი, მან იცის.

## „მე კალაძის ადგილზე დაუფიქრებლად გადავდგებოდი, მთელი ცხოვრება დაიტანჯება“



გვ.3

მურმან დუმბაძე: „ოპოზიცია როდესაც სუსტია, აქსიომაა, ყველაფერი გასდის ხელისუფლებას“



გვ.4

## „საქართველოს ახლა არ აქვს იმის ძალა და რესურსი, რომ რუსეთთან ომში ჩაებას“

ჯონდი ბალათურია: „სააკაშვილის პოლიტპატიმრობა სიცრუეა, ევროსაბჭოს რეზოლუციაში ჩანაწერი სიმართლეს არ შეესაბამება“



## ირაკლი ღარიბაშვილი ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს შეხვდა



გვ.3



გვ.4

## „რუსები უკრაინელებს იმიტომ ებრძვიან, რომ უკრაინელებს თავი რუსებად არ მიაჩნიათ“

„კრემლი ავრცელებს მესიანისტურ იდეას, რომ რუსეთმა მსოფლიო „ლიბერალური სენისგან“ უნდა იხსნას“

1993230720223

3 გიორგი ვაშაძე: „სირცხვილია, როცა კობახიძე პატარა ბავშვივით უკან ჩუმად უდგება გერმანიის კანცლერს და ფოტოს იღებს“

5 თელავში 40 წლის კაცი წისქვილის დანადგარმა ტანსაცმლით ჩაითრია და გარდაიცვალა

5 „მითვისებულია 520 ათას ლარზე მეტი“ — წყლის კომპანიის ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავეს

6 ნორვეგიაში რუსეთის ჯაშუშები დააკავეს

# „კალაძე თუ მოინდომებს, გადადგება, ივანიშვილი ვერ შეაჩერებს“

ნონა ცაბაძე

## პაატა ზაქარეიშვილი: „13 წლის ბავშვი მიწაში წევს, მერმა იცის, რომ ამ ყველაფერში მისი წილი პასუხისმგებლობაა და რის გამო რჩება სამსახურში?!“

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.



***– ბატონო პაატა, დიდი ტრაგედია დატრიალდა ვაკის პარკში. საზოგადოების ნაწილი თბილისის მერის, კახი კალაძის გადადგომას მოითხოვს. უნდა გადამდგარიყო თუ არა კალაძე?***

– სამწუხაროდ, ტრაგედია მოხდა. ეს არ იყო ისეთი ადგილი, სადაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ბავშვების უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომ იქმნება ასეთი ადგილები, პარკები, სკვერები, სადაც ბავშვები უსაფრთხოდ უნდა გრძნობდნენ თავს. თანაც ეს ტრაგედია მოხდა მაშინ, როდესაც ვაკის პარკი დასრულდა.

***– თბილისის მერმა პომპეზურად გახსნა.***

– ოფიციალური გახსნა იყო. პომპეზურს ვერ დავარქმევდი, თუმცა ამ ტრაგედიის შემდეგ ეს ყველაფერი სხვანაირად ჩანს. რადგან მერიის განკარგულებაში იყო და სამუშაოებს სწორედ თბილისის მერია ატარებდა, მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, სწორედ მერზე მოდის. მან გახსნა და მან ამით თქვა, რომ ყველაფერი წესრიგშია. მოდით დაისვენეთ, ჩვენ თქვენზე ვზრუნავთ და მეორე დღესვე მოხდა ეს საშინელება, ეს ტრაგედია. ვუსამძიმრებ ოჯახს, ეს არანაირად არ უნდა მომხდარიყო! მე, კალაძეს კარგად ვიცნობ. ოთხი წელი ერთად ვმუშაობდით. თანაგრძნობა ამ კაცს ძალიან ძლიერი აქვს. რომ ვთქვა, ღამეები არ სძინავს, მართალი ვიქნები. ნამდვილად განიცდის. თუმცა, ერთია, პიროვნული განცდა და მეორეა, სად მოხდა ეს შეცდომა და არის თუ არა აქ მერიის პასუხისმგებლობა?!

***– ძალიან უპასუხისმგებლო კომპანიები იყო ტენდერში ჩართულიო. ეს ტენდერები და იქ არსებული კორუფცია უკვე ყბადაღებულ თემად იქცა.***

– სწორედ ამას უნდა გაეცეს პასუხი, რამდენად სწორად იყო ჩატარებული ტენდერები. რამდენად იყო შერჩეული სანდო, კომპეტენტური და კვალიფიციური კომპანიები. თუ ეს ყველაფერი იყო, როგორც ამბობენ, მართლაც კორუფციული სქემის ნაწილი?! ძალიან ბევრი რამ მსმენია მერიაში არსებულ კორუფციულ სქემებზე. პირადად არც ერთი ფაქტი არ მაქვს, თუმცა უამრავი რამ იწერება ამაზე. ბევრი ინფორმაცია მოდის და ეს გადასამოწმებელია. ზოგი ალბათ ტყუილია და ზოგიც მართალი და აი ამ ფონზე ხდება ეს ტრაგედია. ისმის კითხვა, სწორად შერჩეული იქნა ეს ყველაფერი? და თუ აღმოჩნდება, რომ ეს არის კორუფციის ნაწილი, მაშინ, რა თქმა უნდა, მერის პასუხისმგებლობა არის პირდაპირი.

***– როგორ ფიქრობთ, გამოძიების დასრულებამდე მაინც არ უნდა შეეწყვიტა კალაძეს უფლებამოსილება?***

– დიახ, მეც ასე მგონია. უნდა თქვას, რომ ვიდრე გამოძიება არ დასრულდება, მე ვწყვეტ ჩემს უფლებამოსილებას და ჩემს მოვალეობას შეასრულებს ჩემი მოადგილე. უნდა გაირკვეს, რამდენად კომპეტენტური ფირმების მოძიება მოხდა. თუ აღმოჩნდება, რომ ეს იყო კორუფციული სქემის ნაწილი, მაშინ, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა იქნება ძალიან სერიოზული და მაშინ კალაძე საბოლოოდ უნდა გადადგეს. თუმცა მანამდე, ვიდრე გამოძიება დასრულდება, ჯობდა შეეჩერებინა უფლებამოსილება. როგორც ადამიანი, დარწმუნებული ვარ, ამას კალაძე ძალიან განიცდის, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეს კითხვები არ უნდა დავსვათ.

***– ითქვა ისიც, რომ ივანიშვილის ნებართვის გარეშე, კალაძე ვერ გადადგებოდა, ვერ მიიღებდა ამ გადაწყვეტილებასო.***

– არა, ეს ასე არ არის. თუ კალაძე მოინდომებს, გადადგება, არანაირი პრობლემა არ არის. რა, გახარია არ გადადგა ივანიშვილის გარეშე? რა პრობლემაა?! თუ ადამიანს უნდა, ვერავინ ვერ გააჩერებს. ივანიშვილზე ლაპარაკია მაშინ, როცა ის თავად მოითხოვს ვინმეს გადადგომას. ეს არის ერთი მომენტი, როცა ივანიშვილი მოითხოვს ვიღაცის გადადგომას, მეორეა, როცა ვიღაცა უთანხმებს ივანიშვილს. მაგალითად, გახარია ეძებდა პირობებს დალაპარაკებოდა, მაგრამ ვერ დაელაპარაკა. უნდოდა, რომ გადადგომა შეეთანხმებინა. მესამეა, როცა თავად იღებ გადაწყვეტილებას და მიდიხარ და ამას ივანიშვილიც ტელევიზიიდან იგებს.

***– როდესაც ფაქტის წინაშე აყენებ?***

– დიახ, აყენებ ფაქტის წინაშე. ამიტომ თუ კალაძე თვლის, რომ უნდა გადადგეს, თუ გინდ დროებით, მას შეუძლია, არც ჰკითხოს ივანიშვილს. ვინც ამბობს, რომ ივანიშვილის გარეშე ვერ გადადგებაო, ამისი მე არ მჯერა და ძალიან არასერიოზულია. თუ უნდა, გადადგება. თუ არ უნდა, არ გადადგება.

***– ბატონო პაატა, კიდევ ერთი მიმართულება განავითარეს, რომ ეს იყო დივერსია. ჯერ იყო და ნაციონალებს დააბრალეს. ახლა საუბარია, რომ კალაძეს, შიგნით, გუნდში მოუწყვეს ეს ყველაფერი. რამდენად რეალური ვერსიაა?***

– არა მგონია. ეს ძალიან ღრმა შეთქმულების თეორიაა. ეს არის აბსოლუტურად სამსახურებრივი გულგრილობა. ვიღაცამ თავის სამუშაო ბოლომდე არ შეასრულა. ამიტომ საჭიროა დეტალური გამოძიება. რომ ამბობენ, მანამდე მუშაობდა და ახლა არ მუშაობს, რაღაც მოხდაო, ეს ყველაფერი გამოძიების საქმეა. თუ ამას მოსდევს კორუფცია, რა თქმა უნდა, ეს არის მძიმე დანაშაული. ნებისმიერ შემთხვევაში, გულგრილობაა თუ რაც არის, ადამიანი დაიღუპა და ეს არის საშინელება! ამას არანაირი გამართლება არა აქვს. რად ღირს ესა თუ ის თანამდებობა, თუკი ადამიანი მიწაშია?! არაფრის გამო 13 წლის ბავშვი, ჯან-ღონით სავსე, მიწაში წევს და მერმა იცის, რომ ამ ყველაფერში მისი წილი პასუხისმგებლობაა და რის გამო რჩება სამსახურში?!



***– ბატონო პაატა, არის თუ არა კალაძე დამნაშავე, გამოიკვეთება თუ არა მისი პასუხისმგებლობა, ეს ერთი მხარეა, მეორე მხარეა მისი იმიჯი, როგორც მერის, როგორც პოლიტიკოსის. აქამდე კალაძე გუნდში სხვებზე მეტი პოპულარობით სარგებლობდა. ეს იმიჯი სერიოზულად შეილახა და ამას რამე უშველის?***

– დარწმუნებული ვარ, კალაძემ იცის, რა მოხდა სინამდვილეში. სად გაწყდა ეს ჯაჭვი, მან იცის. თუ მას აქვს განცდა, რომ მისი წილი აქ არის მნიშვნელოვანი, ის უნდა გადადგეს და მაშინ ის ავტორიტეტს დაიბრუნებს. ფაქტია, რომ ეს იყო დაუდევრობის შედეგი. მან უნდა თქვას, რომ მოხდა ესა და ეს, უნდა დაისაჯონ ეს პირები, მე კი ვიღებ პასუხისმგებლობას და მივდივარ თანამდებობიდან. თუ ის მიდის, ის ამით თავის რეპუტაციას შეინარჩუნებს. მომავალში თუ უნდა პოლიტიკაში დარჩენა, ხალხი ამას დაუფასებს. ხოლო თუ არ მიდის და საბოლოო ჯამში მას ჩრდილი მიადგება, შემდეგ არჩევნებში უკვე სერიოზული პრობლემები შეექმნება. რადგან ეს ეპიზოდი იქნება ყველაზე მძიმე ბრალდება მის წინააღმდეგ. მეც ვიყავი პოლიტიკაში და თანამდებობაზე, ნამდვილად არ მესმის იმ ხალხის, ვინც ასე ებღაუჭება თანამდებობას. განა რა არის ასეთი ამ თანამდებობაში?! თუ არ არის ამაში ბიზნესინტერესი და პირადად მე ასე მგონია, მაშინ რა პრობლემაა ამა თუ იმ თანამდებობის დატოვება? ვიყავი ჩვეულებრივი ადამიანი და დავრჩი ასეთად. როგორც სხვა, მეც საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვმოძრაობ და ასე შემდეგ. რატომ ებღაუჭება ეს ხალხი თანამდებობას, გულწრფელად გეტყვით, მართლა არ მესმის. მიმიფურთხებია ისეთი თანამდებობისათვის, სადაც ყველა ზურგში გაფურთხებს! თავისუფლად შეეძლო კალაძეს წასულიყო.

***– რომ არ მიდის, იბადება კითხვები, რატომ?***

– შეკრიბოს გუნდი და თქვას, რომ ხალხო, ადამიანი დაიღუპა და ეს ხუმრობა არაა. დაიღუპა საღ-სალამათი ბავშვი იქ, სადაც არ უნდა დაღუპულიყო და რად გვიღირს ჩვენ ეს ყველაფერი? ან ხელფასები და ან ბიზნესინტერესები?! დასვას ასე საკითხი კახი კალაძემ!

***– ბატონო პაატა, ასევე დიდი ხმაური მოჰყვა რეზოლუციის თემას, რომელსაც „ქართულმა ოცნებამ“ ხელი არ მოაწერა. ახლა აბრალებენ სააკაშვილს. არ უნდა შეეპარებინათ რეზოლუციაში ეს საკითხიო. როგორია თქვენი შეფასებები, რატომ წავიდა „ოცნება“ რეზოლუციის წინააღმდეგ? ხელი რომ მოგვეწერა, ამით სააკაშვილის პოლიტპატიმრობას ვაღიარებდითო.***

– არავითარ შემთხვევაში. ეს არის სრული სიბეცე. ამით მხოლოდ და მხოლოდ ატყუებენ ამომრჩეველს. ვინც იყო ამ დელეგაციის ხელმძღვანელი, უნდა გამოსულიყო და ეთქვა, რომ ჩვენ ვგმობთ, ყოვლად მიუღებელია, რაც ჩაიდინეთ, რაც აქ ჩაწერეთ. ჩვენ არავითარი პოლიტპატიმარი არა გვყავს. უნდა მოეთხოვათ, პროტოკოლში ყოფილიყო შეტანილი, რომ წინააღმდეგნი არიან. როცა გამოქვეყნდებოდა ეს რეზოლუცია, ქვემოთ მიეწერათ, საქართველო ეწინააღმდეგება ამა და ამ პუნქტს. ხოლო რეზოლუციისთვის ხელი უნდა მოეწერათ! ამით უფრო მეტ საქმეს გააკეთებდნენ. ვინც კი წაიკითხავდა ამ დოკუმენტს, ყველას თვალში შეეჩხირებოდა, რომ სააკაშვილი არ არის პოლიტპატიმარი. ხელი რომ არ მოაწერეს, ახლა ყველა ასე იტყვის, რომ საქართველომ, რუსეთის წინააღმდეგ რეზოლუციას ხმა არ მისცა. ხოლო არავინ აღარ ჩაყვება იმას, თუ რატომ არ მისცა ხმა. იმიტომ არ მისცა, რომ პრორუსულია! მე მგონია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დრო იხელთა და სააკაშვილი საბაბი უფრო იყო. შესაძლოა ჩააწყო კიდევაც, რათა ხელი არ მოეწერა და შემდეგ ყველაფერი დაებრალებინა სააკაშვილისთვის. ეს არის უმსგავსო საქციელი! კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა მათი უვიცობა და უუნარობა!

## „ბოდიში მარიტა, ბოდიში შვილო, ბოდიში“



პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის დროს „ლელოს“ დეპუტატი ანა ნაცვლიშვილი 13 ოქტომბერს ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიას გამოეხმაურა, რა დროსაც 13 წლის მარიტა მეფარიშვილი დაიღუპა.

როგორც ნაცვლიშვილმა აღნიშნა, მიმდინარე გამოძიების არავის სჯერა:

– ძალიან მინდა მჯეროდეს და ვუერთდებოდე პარლამენტის თავმჯდომარეს იმედში, რომ გამოძიება დაადგენს – რა მოხდა ვაკის პარკში, ძალიან მინდა, რომ მჯეროდეს.

მართლა გულწრფელად მჯერა, რომ ყველა შეგზარათ ამ ტრაგედიამ, მაგრამ გულწრფელად არ მჯერა, რომ რაიმე გაკვეთილი გამოიტანეთ ამ ტრაგედიიდან, ამ უმძიმესი ამბიდან.

რატომ არ მჯერა ამ გამოძიების, იცით? იმიტომ, რომ თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებმაც საქართველოს მეორედ დაუნიშნეთ მთავარი პროკურორი, ანუ ის, ვინც ასეთ ამბებს უნდა იძიებდეს და ზედამხედველობდეს გამოძიებას, რომელიც ზუსტად ბავშვების მკვლელობის საქმის გამო თვითონვე გადადგა და როგორ იყო ის საქმე თეთრი ძაფით ნაკერი, პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ სააშკარაოზე გამოიტანა.

თქვენ ეს კაცი თავიდან აირჩიეთ და ყველა მსგავსი საქმის გამოძიება კიდევ მის ხელში ჩააგდეთ. ამიტომ არავის არ სჯერა ამ გამოძიების.

ბოდიში მარიტა, ბოდიში შვილო, ბოდიში, – განაცხადა მიმართვის დასასრულს ანა ნაცვლიშვილმა.

## კახა კახიშვილი: „მაქვს შიში, რომ გენერალური პროკურორის კანდიდატურაზე შეთანხმება ვერ მოხდება“



– თუ ასე მივყევით, ჩვენ დავრჩებით სახალხო დამცველის გარეშე, რადგან კონსენსუსი ვერ მოხდება, დავრჩებით ცესკოს თავმჯდომარის გარეშე, რადგან კონსენსუსი ვერ მოხდება, დავრჩებით გენერალური პროკურორის გარეშე, რადგან კონსენსუსი ვერ მოხდება და საბოლოოდ, მე-13 რეკომენდაცია რომ იყოს იმის შესახებ, რომ პარლამენტი მთავრობას 90 ხმით ამტკიცებს, ამასაც ვასრულებთ, რომ აღარ გვყავდეს მთავრობა?! – აღნიშნული განცხადება პარლამენტის ტრიბუნიდან „ქართული ოცნების“ დეპუტატმა კახა კახიშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვისას გააკეთა.

როგორც კახიშვილმა ამ კონტექსტში აღნიშნა, ევროკავშირის თითოეული რეკომენდაცია უნდა იყოს დასაბუთებული და საუკეთესო მაგალითებს ეყრდნობოდეს.

– რეალობა არის ისეთი, რომ პარლამენტის მიერ გენერალური პროკურორი 90 ხმით ვერ დაინიშნება. შედეგად, ქვეყანას ეყოლება გენერალური პროკურორი, რომელსაც პარლამენტი თითო-თითო წლით აირჩევს, რაც იმას ნიშნავს, რომ გენერალური პროკურორი თითოეულ დეპუტატს უნდა ეკეკლუცოს და პარლამენტის წევრების თხოვნები შეასრულოს.

ვინ არის ამ კონკრეტული რეკომენდაციის ავტორი, ახსნას, რა არის აღნიშნული რეკომენდაციის სულისკვეთება.

მაქვს შიში იმისა, რომ კვალიფიციური უმრავლესობით გენერალური პროკურორის კანდიდატურაზე შეთანხმება ვერ მოხდება და ამით სამართალდამცავი სისტემა ჩამოიშლება – ჩვენ იმ უწყებას ვეხებით, რომელიც არის მაკოორდინირებელი უწყება კრიმინალთან ბრძოლაში, – განაცხადა კახა კახიშვილმა. პარლამენტში, პირველი მოსმენით, კონსტიტუციურ კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტის განხილვა მიმდინარეობს, რომელიც გენერალური პროკურორის არჩევის ახალ წესს ადგენს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მე კალაძის ადგილზე დაუფიქრებლად გადავდგებოდი, მთელი ცხოვრება დაიტანჯება“

## მურმან დუმბაძე: „ოპოზიცია როდესაც სუსტია, აქსიომაა, ყველაფერი გასდის ხელისუფლებას“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო მურმან, საზოგადოების გარკვეული ნაწილი კახა კალაძის მხრიდან პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარებაზე საუბრობს და მის გადადგომას ითხოვს. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— ურთულესი ვითარებაა ქვეყანაში. არც ერთი პრეცედენტი არ არის შექმნილი პოლიტიკური, მორალური პასუხისმგებლობის გაზიარების. მეტიც, ჩვენ გვახსოვს, მიტინგების დარბევის შემდეგ, როგორ აწინაურებდნენ დამნაშავე მაღალჩინოსნებს. ეს კატასტროფაა. არ შეიძლება, ასე დასცინო საზოგადოებას.

კონკრეტული მაგალითის მოყვანა შემიძლია. შარშან ბათუმში მომხდარ ტრაგედიას როგორ ემსხვერპლნენ მცირეწლოვანი ბავშვები, დედა, ბიძა და როგორ დაისაჯა მხოლოდ ორი მუშა და სახლის მეპატრონე. ასეთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. არც ერთი მაღალი თანამდებობის პირი არ გამოკვეთა გამოძიებამ, რომელსაც შეიძლებოდა პასუხისმგებლობა დაკისრებოდა. მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე საერთოდ არც არავის არ უფიქრია.

რაც შეეხება კონკრეტულად ვაკის პარკში განვითარებულ ტრაგედიას, რატომ ვერ გრძნობ შენი ე.წ. წარმატების პასუხისმგებლობას?! წინა დღით ხომ წარმატებად მიგაჩნდა პარკის მოწყობა?! მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობ. არავინ ამბობს, რომ კალაძის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგას. თუმცა, გამოძიება რომ სათანადოდ წარიმართოს, არც არაფერია გამორიცხული, ისეთი კორუფციულია დღეს სისტემა. როგორ ხდება, რომ ამ ტენდერებს სულ ერთი და იგივე ხალხი იგებს. ვიღაცა ხომ არის ამაზე პასუხისმგებელი?! მე კალაძის ადგილზე დაუფიქრებლად გადავდგებოდი, რადგან ადამიანურად, მერწმუნეთ, ძალიან გაუჭირდება. მთელი მისი ცხოვრება დაიტანჯება. თუ გადადგება, გარკვეულ შვებას იგრძნობს, იმ ბავშვის მშობლებთან ერთად მათი ტკივილის გამზიარებელი გახდება და სულიერად უფრო დამშვიდდება.

ანარქიული მდგომარეობაა ქვეყანაში. არსებობს გაბატონებული კლასი „ქართული ოცნების“ სახით და საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევს. ეს არის ის რეალობა, სამწუხაროდ, რომელიც გვაქვს.



***— რამდენად არის ოპოზიცია ადეკვატური? თუნდაც ამ პროცესების მიმართ გრძნობს ის თავის წილ პასუხისმგებლობას?***

— ოპოზიცია როდესაც სუსტია, აქსიომაა, ყველაფერი გასდის ხელისუფლებას. როდესაც ნაკლებია კონტროლი, როდესაც მოწოდების სიმაღლეზე არ არის ოპოზიცია მაშინ, რა თქმა უნდა, ხელისუფლების საცეცები ყველას და ყველაფერს წვდება. ამიტომ მოიგონეს მართვის დემოკრატიული მოდელი, როდესაც კონტროლის მექანიზმით ოპოზიციაც თანამონაწილეობს მართვის პროცესში და გარკვეულ პასუხისმგებლობას ინაწილებს, მაგრამ კონცენტრირებული ძალაუფლება, რომელიც მხოლოდ ერთი ადამიანის ხელშია მოქცეული, ამას არ ცნობს. ავტოკრატიისთვის პასუხისმგებლობის გადანაწილება, კონტროლი, ოპოზიციის როლი და ა.შ. სრულიად წარმოუდგენელია.

„ქართული ოცნება“ ფიქრობს, რომ ახლა მისი დროა და ბოლომდე უნდა ჰქონდეს ხელში ძალაუფლება მომარჯვებული. ხომ სისულელეა იმის თქმა, რომ სხვა ხელისუფლების დროს მსგავსი უბედური შემთხვევები და ტრაგედიები არ მოხდება, მაგრამ აქ საუბარია ასეთი ტრაგედიების მინიმუმამდე დაყვანაზე. როდესაც ძალაუფლება იქნება დაბალანსებული, როდესაც ხელისუფლების პრინციპი იქნება კონტროლის მექანიზმზე აგებული, კორუფციული გარიგებებიც ნაკლები იქნება.

როდესაც ოპოზიცია სუსტია, როდესაც კონტროლი მორღვეულია, მაშინ ყალიბდება ასეთი მანკიერი სისტემა. ერთპარტიული მმართველობის მოდელი ასეთ შედეგებს იძლევა. ამ შემთხვევაში ზოგადად ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე ვსაუბრობ. გამოსავალი არის კოალიციური მმართველობა.

***— „ქართული ოცნებაც“ კოალიციით მოვიდა ხელისუფლებაში.***

— მე რეალურ კოალიციაზე ვსაუბრობ. კოალიციაზე, რომელიც ოპოზიციისა და არჩევნებში გამარჯვებული პარტიისგან იქნება დაკომპლექტებული. თუ ოპოზიცია ძლიერი იქნება, ეს სისტემა აუცილებლად შეიცვლება. ასე გაგრძელება შეუძლებელია, რადგან ეს მოცემულობა კარგს არაფერს არ უქადის ჩვენს ქვეყანას. ამ რეალობის შეცვლაზე უნდა იზრუნოს ოპოზიციამ და არ პარლამენტში „ქართული ოცნებისთვის“ პოლიტიკურად ზურგის გამაგრებაზე.

## იაგო ხვიჩია: „კანონიერი ქურდების“ უფლებებს დავიცავ“

სახალხო დამცველობის კანდიდატისა და პარტია „გირჩის“ თავმჯდომარის იაგო ხვიჩიას განცხადებით, სახალხო დამცველად მისი არჩევის შემთხვევაში, ის „კანონიერი ქურდების“ უფლებებს დაიცავს, რადგან მიიჩნევს, რომ „ქურდული სამყაროს შესახებ“ კანონმა ადამიანთა რწმენის თავისუფლება შეზღუდა:

— მინდა დავაანონსო ერთ-ერთი კანონპროექტი და მოგიყვეთ მოკლე ისტორია ამის შესახებ. ეს კანონპროექტი შეიძლება ერთი შეხედვით ძალიან ეპატაჟურია, ბევრი ადამიანის მხარდაჭერით შეიძლება სარგებლობდეს არსებული ნორმები, მაგრამ 2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში, როცა ეს კანონი იხილებოდა, უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი ახალი დამთავრებული მქონდა და ვუყურებდი ამ კანონის განხილვის პროცესს პარლამენტში. საქმე ეხება „ქურდული სამყაროს შესახებ“ კანონს.



ამ კანონით ჩვენ, ფაქტობრივად, ადამიანის რწმენის თავისუფლება შევზღუდეთ. ჩვენ ვთქვით, რომ ადამიანები უნდა ისჯებოდნენ იმის მიუხედავად, შევძლებთ თუ არა კონკრეტული ქმედების დამტკიცებას, იმის მიუხედავად, შევძლებთ თუ არა დამტკიცებას, რომ ადამიანს ორგანიზებული ბანდა ჰქონდა შექმნილი ან იყო თუ არა ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე.

იმის გამო, რომ ის რაღაც რწმენას აღიარებს, რაღაცის სჯერა, ქართული კანონმდებლობით გამოვაცხადეთ კრიმინალებად. ეს იყო ნულოვანი ტოლერანტობის ფარგლებში. ფაქტობრივად, ამ კანონის მიღებით ჩვენ შემოვიღეთ სასჯელის ახალი ფორმა, რომელიც ისე არ გვაქვს და აკრძალულია ქვეყნის კონსტიტუციით, ეს არის ქვეყნის მოქალაქეობის ჩამორთმევა.

თუ თავს არ მოვიტყუებთ, ყველამ ვიცით, რომ ჩვენი ე.წ. ქურდებთან ბრძოლა 2 ათწლეულის განმავლობაში, სინამდვილეში ახალი სანქციის გამოკვეთას ისახავს მიზნად, მოქალაქეობის ჩამორთმევას, ეს არის ქვეყნიდან გაძევება. ჩვენ არ ვაძლევთ ამ ადამიანების ოჯახის წევრებს მოსვენებას, არ ვაძლევთ დაბადების მოწმობებს ამ ადამიანების შვილებს“ — განაცხადა იაგო ხვიჩიამ.

მისი თქმით, ასეთი დამოკიდებულება დროზე უნდა შევცვალოთ — ადამიანი უნდა დაისაჯოს მის მიერ ჩადენილი ქმედების გამო და არა იმ რწმენის გამო, რომელიც სჯერა.

— მე, როგორც სახალხო დამცველობის კანდიდატი, ჩემი არჩევის შემთხვევაში, ვიბრძოლებ ამ ადამიანების უფლებებისთვის, თუმცა არა იმიტომ, რომ ვინმე მათგანს ვიცნობ. მინდა საჯაროდ დავაფიქსირო, რომ არც ერთ „კანონიერ ქურდს“ არ ვიცნობ პირადად. არავის ცნობა არ მჭირდება იმისთვის, რომ უსამართლობა დავაფიქსირო, — განაცხადა იაგო ხვიჩიამ.

## დავით უსუფაშვილი: „12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულება არ ნიშნავს 12 „გალოჩკის“ დასმას“

დავით უსუფაშვილის თქმით, ევროპა ჩვენგან ქვეყანაში არსებული სისტემური პრობლემების აღმოსაფხვრელად გადადგმულ სამაგალითო ნაბიჯებს ელის.



— 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულება, არ ნიშნავს 12 „გალოჩკის“ დასმას. რომ მოვნიშნავთ ხოლმე — „შევასრულე, შევასრულე, შევასრულე... აი, თორმეტი“. 12 პუნქტის შესრულება არ ნიშნავს 12-ის მექანიკურ ჯამს, ეს ნიშნავს მისი სულისკვეთების გაზიარებას. იგულისხმება ის, რომ რა სისტემური პრობლემებიცაა ქვეყანაში, ამ პრობლემების მოგვარებისკენ გადადგმულ სიმბოლურ და სამაგალითო ნაბიჯებს ელის ჩვენგან [ევროკავშირი]. მარტო ევროპა ელის ამას? ჩვენი ხალხი არ ელის?

დამშვიდდეს ეს ქვეყანა, ვინც დასაკავებელია და პასუხისგებაშია მისაცემი, მიეცეს პასუხისგებაში, პროკურორსაც და მოსამართლესაც ჰქონდეს მაღალი ნდობა, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წავალთ წინ, თორემ მოკიდებ ხელს ვიღაცას ქუჩაში და თუ ოპოზიციურ მიტინგზე გაუვლია, ეგრევე პოლიტპატიმარია. რატომაა ეს ასე? იმიტომ, რომ პოლიტიკური ნიშნით სხვებს რომ დევნიან, მერე ის ვიღაცაც ეფარება ამ საქმეს. უცხოეთში ჩვენგან წასული ხალხის უდიდესი უმრავლესობა აბარებს საბუთებს, რომ პოლიტიკური დევნილია. რატომ აკეთებენ ამას? იმიტომ, რომ სახელი აქვს გატეხილი ამ ქვეყანას ბევრჯერ, პოლიტიკური დევნის გამო. აბა ჩეხეთიდან წავიდეს ვინმე სადმე და პოლიტიკურად მდევნიანო თქვას, მოუსმენენ ამისთვის? — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

## გიორგი ვაშაძე: „სირცხვილია, როცა კობახიძე პატარა ბავშვივით უკან ჩუმად უდგება გერმანიის კანცლერს და ფოტოს იღებს“



— ჩემი აზრით, სირცხვილია, როცა კობახიძე პატარა ბავშვივით უკან ჩუმად უდგება გერმანიის კანცლერს და ფოტოს იღებს, რადგან მას თავი არ გამოეყოფა არსად, ის არის მთავარი ანტიმედასავლეთე და პრორუსი ამ ქვეყანაში, — ამის შესახებ ჟურნალისტებთან „სტრატეგია აღმაშენებლის“ თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ განაცხადა.

ვაშაძე ზურაბ ადეიშვილის შესახებ კობახიძის განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ უკრაინა თავად გადაწყვეტს, ვის სად წარადგენს.

— მისი დაწერილია ის წერილები, რომელსაც გვერდზე ჯგუფები აქვეყნებენ და რომელსაც „პოს ტივი“ ღიად უჭერს მხარს, მაგალითად. ამიტომ სამარცხვინოა, რომ ჩემი ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელი, რომელიც თავს ესხმის ამერიკის ელჩს, ევროკავშირის ელჩს, ევროპარლამენტარებს და ამბობს, რომ ამერიკას და ევროპას არაფერი გაუკეთებია ამ ქვეყნისთვის და რუსეთს გაუკეთებია, ის წარმოადგენს ამ ქვეყანას სადმე, ამაზე დიდი სამარცხვინო ჩემთვის არ არსებობს. უკრაინა ვის წარმოადგენს და სად წარმოადგენს, თავის საქმეს თვითონ მიხედავენ, ეგ ჩემი ამოცანა არაა, ჩემი ამოცანაა, მმართველი პარტიის წარმომადგენლობები არ გვარცხვენდნენ სხვადასხვა ასპარეზზე, — განაცხადა ვაშაძემ.

## ირაკლი ღარიბაშვილი ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს პაველ ბლაჟეკს შეხვდა.



მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის არსებული დინამიკური პარტნიორობის ძირითადი მიმართულებები მიმოიხილეს.

აღინიშნა, რომ საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გააქტიურდა ორმხრივი ვიზიტები. გამოითქვა არსებული თანამშრომლობის და პოლიტიკური დიალოგის კიდევ უფრო გაღრმავების მზადყოფნა. ხაზი გაესვა ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს ინსტიტუციონალური, სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციისა და რეფორმების მიმართულებით ჩეხეთის მიერ გაწეულ მნიშვნელოვან დახმარებას.

პრემიერ-მინისტრმა ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და ხაზი გაუსვა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში ჩეხეთის ჩართულობის მნიშვნელობას.

საუბარი შეეხო ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს. აღინიშნა, რომ ევროპულმა საბჭომ საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭებით დაადასტურა, რომ საქართველოს მომავალი ევროკავშირშია და ამ გადაწყვეტილებამ საფუძველი დაუდო ახალ ეტაპს, რომელმაც საქართველო ევროკავშირის წევრობამდე უნდა მიიყვანოს. ხაზი გაესვა ჩეხეთის, როგორც ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის, როლს და ევროინტეგრაციის პროცესში ჩეხეთის მხარდაჭერის მნიშვნელობას.

საუბარი ასევე შეეხო ევროკავშირის მიერ ინიცირებული ევროპული პოლიტიკური გაერთიანების პირველ სამიტს, რომელიც პრაღაში გაიმართა. პრემიერ-მინისტრის თქმით, აღნიშნული სამიტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ხელს შეუწყობს ევროპის კონტინენტზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ძალისხმევის გაერთიანებას.

შეხვედრას ესწრებოდნენ ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე ზუზანა ფისეროვა, ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში პეტრ მიკისკა და საქართველოს იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე.

# „საქართველოს ახლა არ აქვს იმის ძალა და რესურსი, რომ რუსეთთან ომში ჩაებას“

გულიკო ბალაძე

## ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილის პოლიტპატიმრობა სიცრუეა, ევროსაბჭოს რეზოლუციაში ჩანაწერი სიმართლეს არ შეესაბამება“

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.**

***– ბატონო ჯონდი, ევროსაბჭოს რეზოლუციაში ჩაიწერა, რომ სააკაშვილი არის პოლიტპატიმარი. როგორი პოლიტპატიმარია სააკაშვილი?***

– სააკაშვილის პოლიტპატიმრობა სიცრუეა, ევროსაბჭოს რეზოლუციაში ჩანაწერი სიმართლეს არ შეესაბამება. იმდენად აბსურდული ჩანაწერია, რომ ევროსაბჭოსა და ევროკავშირის დონეს ნამდვილად არ შეესაბამება. სამართლებრივი უზუსტობაა.

თუმცა, კარგია, რომ რეზოლუციაში ასეთი რამ ჩაიწერა, ამით „ქართულ ოცნებას“ საშუალება და საფუძველი მიეცა, ხმა არ მიეცა ამ რეზოლუციისთვის.

***– როგორ?***

– რეზოლუცია აბსოლუტურად ავანტიურისტული, არსებულ, ძალიან ფეთქებადსაშიშ ვითარებასაა აცდენილი. რეზოლუციით რუსეთი ტერორიზმის სპონსორ ქვეყნადაა აღიარებული, ეს ძალიან სახიფათო რამ არის.

***– რეზოლუციით რუსეთს მოუწოდებენ, თავისი შეიარაღებული ძალები საქართველოდან და უკრაინიდან გაიყვანოს. რომ არა სააკაშვილზე ჩანაწერი, საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანას ხმას მისცემდნენ, რაც კარგი იქნებოდა. ეს პუნქტი ჩვენთვისაც მისაღებია.***

– გადასარევია, მაგრამ ერთსა და იმავე ფურცელზე კაცმა შეიძლება დედის გინებაც დაწეროს და ქება-დიდებაც. ხელს რომ მოაწერ, ხომ არ იტყვი, მარტო ქებაზე ვაწერ ხელს და გინებაზე არაო. რუსეთის მიმართ იმდენად სახიფათო რეზოლუციაა მიღებული, რომ ეს შეერთებულმა შტატებმა ჯერ ვერ გაბედა.

როცა რეზოლუცია განიხილებოდა, პირდაპირ თქვეს, რომ ეს საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენ ამ რეზოლუციისთვის მხარი რომ დაგვეჭირა, დღეს საქართველოში საწვავი 20-25 ლარი გახდებოდა, დახლებზე პური აღარ იქნებოდა. ხორბლის 95% რუსეთიდან შემოგვაქვს. რუსეთიდან ხორბალი აშშ-საც შეაქვს, აშშ-ის სამომხმარებლო ბაზრის 30% რუსეთის ხორბალს უჭირავს. ასევე ნავთობის 30% რუსეთიდან შეაქვთ.

ჩვენ ამ სანქციებს როგორ შევუერთდებოდით. ამ რეზოლუციაზე მხარდაჭერით, ავტომატურად ვექცეოდით რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნების სიაში, სანქცირებულთა სიაში და შეწყდებოდა ხორბლის, მარცვლეულის, შაქრის, წიწიბურას, ენერგომატარებლების შემოტანა. წარმოგიდგენიათ, რა შარში ვეხვეოდით?!



***– თქვენი პოზიცია გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, როგორ ხერხდება რეზოლუციაში სააკაშვილის საკითხის ჩასმა?***

– ეს კორუფციის შედეგია. ევროსაბჭოშიც და ევროკავშირშიც არიან კორუმპირებული ჩინოვნიკები, რომლებმაც თავი შეირცხვინეს. მათ შესახებ ყველამ იცის. ეს ადამიანები სარფიანად ურთიერთობდნენ სააკაშვილის ხელისუფლების დროს სააკაშვილთან და მის ხელისუფლებასთან. აქედან იღებდნენ ძალიან მსხვილი სახის „ატკატებს“. ამიტომ სიტუაციის ასე შემობრუნება მათთვის ძალიან კომფორტული იქნებოდა.

მეორე მხრივ, კოლექტიურ დასავლეთს, რომელიც ახლა რუსეთთან ომშია ჩაბმული, მიაჩნია, რომ თუ რუსეთის ირგვლივ ბევრი ცხელი წერტილი გაჩნდება, ეს რუსეთის სამხედრო და ეკონომიკურ რესურსებს გაფანტავს. თეორიულად შეიძლება ეს დასაჯერებელი იყოს, მაგრამ საქართველოს ახლა არ აქვს იმის ძალა და რესურსი, რომ რუსეთთან ომში ჩაებას. არ შეგვიძლია. ეს ჩვენ გავიარეთ. ნახეთ, რა მდგომარეობაშია 50 მილიონიანი უკრაინა. ჩვენ სამმილიონ-ნახევარი დავრჩით. მით უმეტეს, არანაირი მხარდაჭერის გარეშე ამ ომს ვერ გავუძლებთ.

მეორე – გაუგებარია, სხვის ომში რატომ უნდა ჩავერთოთ? ამიტომ, რადგან ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, ის გახდა შანტაჟისა და შურისძიების ინსტრუმენტი. ისინი ამით ხელისუფლების მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებას ცდილობენ.



დასამალი არ არის, რომ დიდი ხანია (ისე, როგორც გაბრიელ გარსია მარკესის „გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკა“) მიდის პირდაპირ დაანონსებული გადატრიალების ქრონიკა, რომელიც გარედან იმართება.

**„30 წლის განმავლობაში პირველად, საქართველო უახლოვდება იმ ზღვარს, როდესაც ჩვენ შეიძლება ექსპორტ-იმპორტის დადებითი ბალანსი მივიღოთ“**

ხელისუფლება, რომელმაც უარი თქვა საქართველოს ომში ჩართვაზე, ქვეყნის მართვას ჩამოაცილონ და ისეთი ხელისუფლება მოიყვანონ, რომელიც ომში ჩაერთვება.

გაიხსენეთ 2008 წელი, როდესაც მთავარსარდალი და სარდლობა კურდღელივით გაიქცა. ჯარისკაცები მტერს შეატოვა. ჯარისკაცებს რა ექნათ, არ იცოდნენ. ხალხიც ომის ქარცეცხლში ჩატოვეს. მოხუცები, ქალები, ბავშვები მიატოვეს და გამოიქცნენ. მე მთელი დღის განმავლობაში ვცდილობდი დავკავშირებოდი პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს. ადგილზე არავინ იყო. იცით თქვენ, ჩვენ გვაქვს სპეციალური ხაზი, რომლითაც მათ ვუკავშირდებით. არავინ იყო. ყურმილს მდივნები და თანაშემწეებიც არ იღებდნენ. ყველა გაქცეული გახლდათ.

***– თქვენ მაშინ დეპუტატი ბრძანდებოდით, ხომ?***

– კი. ამის გამეორება ახლა, პრინციპულად, დაუშვებელია.

***– ევროსასამართლომ არაერთი გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლითაც სააკაშვილი და მისი ხელისუფლება გაამტყუნა. ახლახან საქართველოს სასამართლომ სააკაშვილის დროინდელი 12 საქმის ფიგურანტები გაამართლა. მათ შორის, ყინწვისის საქმეში ბრალდებულები. პროკურატურამ საქმე ხელახლა გამოიძია სააკაშვილის დროს საქმისწარმოების პროცესში დაშვებული შეცდომების გამო და სასამართლოს გადასცა. საინტერესოა, ასეთი საქმეების შესახებ ინფორმაცია ხელისუფლებამ ევროსაბჭოს და ევროკავშირს რატომ არ წარუდგინა?***

– იმიტომ, რომ დღეს ევროსაბჭოში მუშაობენ ის ადამიანები, რომლებიც ყოფილ ხელისუფლებასთან კორუფციულად დაკავშირებული იყვნენ. ასევე, პოლიტიკურად მოტივირებული არიან. საქართველოს მიმართ შურისძიებისა და რევანშის განწყობა აქვთ, რადგან საქართველო ომში არ ჩაება. ამიტომ ახლა ევროსაბჭოში ბნელა. რაც უნდა მისწერო, მაინც თავისას გააკეთებენ.

უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიანიჭეს და ჩვენ არა. ხელისუფლებაზე ბევრი კრიტიკული რამ შეიძლება ვთქვათ, მაგრამ ამ მონაცემებით – ოლიგარქიზაციის, კორუფციისა და რადიკალიზაციის დონით, საქართველო მოლდოვასა და უკრაინას 10 ნაბიჯით წინ უსწრებს.

***– ომში მოლდოვაც არ არის ჩაბმული.***

– მოლდოვა ომში არ არის ჩაბმული, მაგრამ სხვა პროცესებშია. იქ მათი მოყვანილი პრეზიდენტი ჰყავთ. მათი სოროსის ფონდის წარმომადგენელია. მეორეც – საქართველო უნდა დასჯილიყო. საქართველოს დასჯის მცდელობაა.

მადლობა ღმერთს, დღეს თბილისი არ იბომბება. საქართველოს მოქალაქეები რუსეთთან ომში არ იხოცებიან. არც ჩვენ არ ვხოცავთ ჩვენს მეზობელ რუსეთელებს, ეკონომიკა ვითარდება და ქვეყანა მარგინალიზებული არ არის, მომავალი აქვს. მისი პერსპექტივები ჩანს. უკრაინას გადახედეთ, ამ სახელმწიფოს მომავალი აქვს?!

***– ომს რომ მოიგებს, დაეხმარებიან დაააშენებენ. თუმცა, სამწუხაროდ, ადამიანები იღუპებიან.***

– ჩვენი მოძმე ხალხია. ჩვენთვის ეს დიდი ტკივილია. არ გვინდა ეს ტკივილი ჩვენთანაც განმეორდეს. უკრაინელების მასობრივი მკვლელობებია, გენოციდია.

***– სამწუხაროდ.***

– ჩვენ უკრაინას ვგულშემატკივრობთ, მაგრამ ჩვენ თავს უფრო მეტად ვგულშემატკივრობთ. 30 წლის განმავლობაში პირველად, საქართველო უახლოვდება იმ ზღვარს, როდესაც ჩვენ შეიძლება ექსპორტ-იმპორტის დადებითი ბალანსი მივიღოთ.

# „რუსები უკრაინელებს იმიტომ ებრძვიან, რომ უკრაინელებს თავი რუსებად არ მიაჩნიათ“

## „კრემლი ავრცელებს მესიანისტურ იდეას, რომ რუსეთმა მსოფლიო „ლიბერალური სენისგან“ უნდა იხსნას“

მარიამ მჭედლიშვილი



სასტიკი ომი უკრაინაში გრძელდება. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე ანდრეი ზორინი „რადიო სვობოდას“ განუმარტავს რუსეთის უკრაინაში შეჭრის მთავარ მიზეზებს. პროფესორი მსჯელობს მახინჯ იდეებზე, რომლებითაც საზრდოობს პუტინის რეჟიმი. ეს იდეები და შეხედულებები რატომღაც საქართველოშიც ინერგება. კრემლის ამ ინსტრუმენტებით გარკვეული ჯგუფები და პირები ხალხს ტვინს ურეცხავენ.

***– აალორძინა თუ არა პუტინმა რუსული იმპერიის ისტორიული მოდელები?***

– გარკვეულწილად, ეს არის საეჭვო, სუსტი ისტორიული ანალოგია. თავიდან იყო გვიანი საბჭოთა ეპოქისკენ სვლა, შემდეგ მოხდა სტალინის ტიპის მაღალი ტოტალიტარიზმისკენ დაბრუნება. ამის აღდგენა უნდათ შეზღუდული წარმატებით. რუსეთის იმპერია სრულიად სხვაგვარად იყო აგებული.

დღევანდელი ომი ასიმეტრიულია. ერთი მხრიდან (უკრაინიდან) საქმე გვაქვს ანტიკოლონიურ, ანტიიმპერიულ ომთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. მეორე მხრიდან (რუსეთიდან) ვაკვირდებით არა იმდენად პეტრე პირველის იმპერიის აღდგენას, არამედ, ერის არსის ფორმატის შეცვლას, უკრაინის განსაზღვრას რუსული ნაციონალისტური სხეულის ნაწილად.

ჩეჩნეთის ომის დროს რუსეთს ოფიციალურ ენაზე შეეძლო იმის თქმა, რომ ჩეჩნები სეპარატისტები არიან და იმპერია გვერდზე გადაედოთ. არა მგონია, უკრაინის მიმართ ასეთივე დისკურსი იყოს. უკრაინელებს აბრალებენ, თითქოს მათ უღალატეს თავიანთ რუსულ ბუნებას.

ომი უკრაინელებთან იმიტომ კი არ მიმდინარეობს, რომ ისინი ცდილობენ იმპერიისგან მოწყვეტას, არამედ იმიტომ, რომ მათ არ სურთ იყვნენ რუსები, იმიტომ, რომ ისინი არ აღიარებენ რუსულ იდენტობას.

***– ეს პუტინის კონცეფციის სტილშია რუსი და უკრაინელი ხალხების ერთიანობის შესახებ?***

– დიახ. ბელარუსებსაც იქ რიცხავენ. ამ კონცეფციის თანახმად, მხოლოდ აღდგენილი ხალხი შეიძლება გახდეს იმპერიის ცენტრი.

***– ერთიანი ხალხის კონცეფციას რაიმე საფუძველი აქვს?***

– არა, რასაკვირველია.

***– რატომ უკავია რუსეთს კბილებით უკრაინა? უკრაინის დაკარგვა რუსული იმპერიის იდეას ამოაყირავებს?***

– ძნელი სათქმელია. ბოლო 200 წლის განმავლობაში რუსული იმპერიის მითოლოგიის ცენტრი ყირიმში იყო. უკრაინა, მართლაც, თამაშობს უზარმაზარ როლს არა მარტო იმპერიულ, არამედ, ეროვნულ იდენტობაში. კიევი რომ ჩამოაჭრა, რუსეთის ისტორია 250 წელიწადზე მეტით ხანმოკლე ხდება. რუსეთის იმპერია შექმნა პეტრე პირველმა. მან თავი იმპერატორად გამოაცხადა, რუსეთი – იმპერიად. მე-18 საუკუნის აზროვნებაში ევროპული ცივილიზაციის კუთვნილება აღიქმებოდა ადამიანად ყოფნის სინონიმად.. რუსეთი, რომელიც სამხედრო გზით იპყრობდა ყირიმს 2014 წელს, უკვე აღარ ცდილობდა ყოფილიყო ევროპული. ამაში მდგომარეობდა ცივილიზაციური ნგრევა.

***– ყირიმის დაკარგვა, მთლიანად უკრაინის დაკარგვა (რაც მოსალოდნელია ამ ომში) რას უნდა ნიშნავდეს პერსპექტივაში რუსეთის ისტორიისათვის?***

– ახლანდელი პოლიტიკა რეტროპოლიტიკაა, სინამდვილეში, დაბრუნება შეუძლებელია. რუსეთი იმ სახით, რა სახითაც ჩაფიქრებული იყო – ევროპული ტიპის უზარმაზარი იმპერიული წარმონაქმნი, არასდროს აღარ იქნება.

***– პუტინიზმის დახასიათება როგორ შეიძლება?***

– პუტინიზმის პირველი ფაზა უკავშირდება 90-იანი წლების მემკვიდრეობას. მაშინდელი იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ გვჭირდება ევროპული ტიპის ცივილიზებული ყოფა, რომ უნდა დავეწიოთ პორტუგალიას. შემდეგში ხალხს ეუბნებოდნენ, რომ დემოკრატია უშლით ხელს, რომ საჭიროა მძლავრი პოლიციური სახელმწიფო. შემოიღეს გამარჯვების კულტი. მართლმადიდებლობის მხრივ არაფერი გამოუვიდათ. შექმნეს გამარჯვების სამხედრო კულტი. კიდევ ერთი ამოუცნობი ელემენტი გაჩნდა – ისტერიკული ჰომოფობია.

***– პუტინიზმის მესამე ეტაპის არსი რაში მდგომარეობს?***

– ეს ეტაპი დაიწყო კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანით. ეს ეტაპი, ჩემი აზრით, დაკავშირებულია მესიანისტურ იდეასთან, რომ რუსეთი უნდა იყოს ავტორიტარული (პირობითად) რეჟიმების ავანგარდში, რომ მათ ერთად უნდა გადაარჩინონ კაცობრიობა „ლიბერალური სენისაგან“. ამ იდეით, ეკონომიკურად ამ გაერთიანებაში პირველი ვიოლინოს როლს ჩინეთი შეასრულებს, რუსეთის წმინდა მხედრობა კი გამარჯვების ტრიუმფის მომტანი იქნება.

# ლაშა ფურცხვანიძის ადვოკატი — ბრალდება აბსურდია, საქმეში არანაირი მტკიცებულება არ არის





„გრინსერვის +“-ის“ ხელმძღვანელის ლაშა ფურცხვანიძის, „გრინსერვის +“-ის თანამშრომლის დევი კახოიძის და შპს „გრინსერვის+“-ის საქმის მწარმოებლის ბექა მირღვლიანის ადვოკატის მამუკა ბლიაძის განცხადებით, ბრალდება არის აბსურდული.

ადვოკატის თქმით, საქმეში არანაირი მტკიცებულება არ არის.

— შევხვდი სამივე პიროვნებას, ვისაც მე ვიცავ. ბრალდება არის აბსურდი, საქმეში არანაირი მტკიცებულება არ არის.

ამჟამად გადაიყვანენ დროებითი მოთავსების იზოლატორში. ბრალის ფორმულირება ჯერ არ ვიცით, — განაცხადა ბლიაძემ.

ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის საქმეზე 9 პირი დააკავეს. დაკავებულთა შორის არიან კომპანია „გრინსერვის პლუსის“ ხელმძღვანელი ლაშა ფურცხვანიძე და თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ვახტანგაშვილი.

ლაშა ფურცხვანიძეს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით და 362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებს ედავება, რაც გულისხმობს გულგრილობას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. მას ასევე ედავებიან ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენებას.

რაც შეეხება თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ვახტანგაშვილს, მას ბრალად სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ედება, რაც სამსახურებრივ გულგრილობას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ასევე, დაკავებულია შპს „გრინსერვის+“-ის საქმის მწარმოებელი — ბ.მ. და შპს „ნიუ მეტალ დიზაინის“ წარმომადგენელი — ლ.ჭ. მათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავებიან, რაც გულისხმობს გულგრილობას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. „გრინსერვის +“-ის კიდევ ერთ თანამშრომელს — დ.კ.-ს კი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით ედება ბრალი, რაც ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში წაქეზებას გულისხმობს. დაკავებული არიან ასევე, შპს „მშენექსპერტის“ დირექტორი — ნ.ქ. და ამავე კომპანიის ინსპექტორი — დავით თუშიშვილი. მათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავებიან, რაც გულისხმობს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღებას. ასევე, დაკავებულია 2 კერძო ელექტროშემდუღებელი — გ.გ. და ვ.გ. მათ ბრალი ედებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.




# ვაკის პარკის ტრაგედია — დაკავებულია 9 ადამიანი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვაკის პარკში მდებარე შადრევანში, დენის დარტყმის შედეგად გარდაცვლილი ბავშვის საქმის გამოძიების ფარგლებში 9 პირი დააკავა, მათ შორის, გრინსერვისის და საექსპერტო კომპანიის თანამშრომლები.

ცნობისთვის, ვაკის პარკის შადრევანში ბურთის ამოსაღებად ჩასულ სამ არასრულწლოვანს დენმა დაარტყა. ერთ-ერთი მათგანის, მარიტა მეფარიშვილის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით დაიწყო, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.

# კახეთში, საოჯახო ტიპის ბავშვთა თავშესაფრიდან, 11 წლის ბავშვი დაიკარგა




კახეთში, ერთ-ერთი საოჯახო ტიპის ბავშვთა თავშესაფრიდან, არასრულწლოვანი დაიკარგა.

11 წლის ბენეფიციარს უკვე მეორე დღეა ეძებენ.

არსებული ინფორმაციით, არასრულწლოვანი ბიჭი, კახეთში სხვა რეგიონის ბავშვთა სახლიდან გადაიყვანეს.

მანამდე ის, კახეთის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში, მინდობით აღზრდაში იმყოფებოდა, საიდანაც რამდენჯერმე გაიქცა.

არასრულწლოვანის ძებნაში პოლიციაა ჩართული, რომელიც სამძებრო სამუშაოებს 24-საათიან რეჟიმში აწარმოებს.

# პედოფილიაში ბრალდებული მამა-შვილი სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

არასრულწლოვანი გერის მიმართ სექსუალურ ძალადობაში მხილებული მამინაცვალი და მამინაცვლის მამა სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ალექსანდრე ლომიძემ უდანაშაულოდ ცნო და დარბაზიდან გაათავისუფლა. ბრალდებულების ინტერესების დამცველი მოსამართლის გადაწყვეტილებით კმაყოფილია და ამბობს, რომ „საქმეში ბავშვის ჩვენების გარდა, არ არსებობდა არანაირი მტკიცებულება, მათ შორის, არც ექსპერტიზის დასკვნა“. დაცვის მხარე დარწმუნებულია, რომ გოგონა დედამ პირადი შურისძიებისთვის გამოიყენა.



თავად დაზარალებული ბავშვი კი ჩვენებაში ჰყვება, რომ მასზე წლების განმავლობაში სექსუალურად ძალადობდნენ მამინაცვალი, მამინაცვლის მამა და ასევე მამინაცვლის არასრულწლოვანი ვაჟი. დედა ყვება, რომ გოგონა მუქარის გამო მომხდარს წლების განმავლობაში მალავდა.

პროკურატურა მოსამართლის გადაწყვეტილებას არ იზიარებს. ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ მოსამართლე ალექსანდრე ლომიძემ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ინტერესები არ გაითვალისწინა. პროკურატურა განაჩენს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

# ვინ მოიპარა „მთავარისა“ და „ტვ პირველის“ აპარატურა ქუთაისში — ბრალდებული დაკავებულია

ქუთაისის მერიაში მდებარე მედიაცენტრიდან მოპარული ნივთები სამართალდამცველებმა იპოვეს. ქურდობის ფაქტზე წარსულში ნასამართლევი შუა ხნის მამაკაცი დააკავეს.

„მთავარ არხსა“ და „ტვ პირველს“ კუთვნილ აპარატურას უახლოეს დღეებში გადასცემენ.

ქუთაისის მერიის შენობაში ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი სივრცე დღეს დილით გაქურდეს. გავრცელებული ინფორმაციით, ქურდმა შენობაში შესვლა ფანჯრის საშუალებით შეძლო. წაღებულია „მთავარი არხის“ კუთვნილი ლეპტოპი და „ტვ პირველის“ კამერა.

# სარფში ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები აღმოაჩინეს




ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფში“, ეჭვის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან შემოსული, საქართველოს მოქალაქის ა.ბ.-ს მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დეტალური დათვალიერების შედეგად, 2 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე იარაღის დეტალები, 18 ცალი ვაზნა და სხვადასხვა ზომის 5 დანა აღმოაჩინეს.

საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

# „მითვისებულია 520 ათას ლარზე მეტი“ — წყლის კომპანიის ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავეს



საქართველოს პროკურატურამ შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის“ ყოფილი დირექტორი ყალბი სამუშაო საბუთების დამზადების ბრალდებით დააკავა. უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებული 2019-2021 წლებში წყალსადენების სათავე ნაგებობების მოვლა-გაწმენდითი სამუშაოების შესახებ ფიქციურ ხელშეკრულებებს აფორმებდა და ამით 520 ათას ლარზე მეტი მიითვისა.

— ფიქციური შრომითი ხელშეკრულებებისა და ყალბი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, ფიქციურად დასაქმებულ პირებს, ანაზღაურების სახით, ყოველთვიურად საბიუჯეტო თანხები ერიცხებოდა, რასაც ბრალდებული მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებდა, — აცხადებენ პროკურატურაში.

დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხების ჯგუფურად მითვისება); 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება); 341-ე მუხლით (სამსახურებრივი სიყალბე) და 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყალბი საგადასახადო დოკუმენტის ჯგუფურად დამზადება-გამოყენება) წარედგინა.

მას 7-იდან 11 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

# ზუგდიდში მეექვსეკლასელს ზებრაზე მანქანა დაეჯახა

ზუგდიდში, მე-6 კლასის მოსწავლეს მანქანა იმ დროს დაეჯახა, როდესაც ის ქვეითთათვის განკუთვნილ ზებრაზე გადადიოდა. ინფორმაცია „გურია ნიუსს“ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრშიც დაუდასტურეს .

დაშავებული ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში არის გადაყვანილი. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

# თელავში 40 წლის კაცი წისქვილის დანადგარმა ტანსაცმლით ჩაითრია და გარდაიცვალა



თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალასთან მდებარე წისქვილში, 40 წლამდე ასაკის მამაკაცი დაიღუპა.

ადგილობრივების ინფორმაციით, მამაკაცი წისქვილის დანადგარმა ტანსაცმლით ჩაითრია და ის, ადგილზე გარდაიცვალა.

გარდაცვლილი სოფელ კურდღელაურში მცხოვრები ზაზა მაღალფერიძეა. შენობა, რომელშიც წისქვილია განთავსებული, ყარაჯალაში მცხოვრებ პირს ეკუთვნის, თუმცა ობიექტი გაქირავებულია.

# ჩხოროწყუში საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაიწვა



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეწურწუმეში, გამთენიისას ხვიჩა ესართიას საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა.

ხანძრის შედეგად მთლიანად განადგურდა საცხოვრებელი სახლის ორივე სართული.

სახლში შუახნის ცოლ-ქმარი იმყოფებოდა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა, მათ საოჯახო ნივთებისა და ავეჯის გამოტანა ვერ მოხერხეს.

დაზარალებული ოჯახი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რამაზ გულუამ, საკრებულოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მოინახულა და ადგილზე გაეცნო არსებულ მდგომარეობას. დაზარალებულ ოჯახს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზარალის შესაბამისად დაეხმარებიან.

# რა არის უკრაინელთა უპირველესი ამოცანა?!




ვლადიმირ პუტინის გეგმები უკრაინის მიმართ არ შეცვლილა. ეს არის დენაციფიკაცია, დემილიტარიზაცია და უკრაინის ე.წ. ნეიტრალური სტატუსის მიღწევა. ამავე დროს შექმნილი მდგომარეობა აიძულებს პუტის, ამ ეტაპზე დროებით ზავზე წავიდეს.

რუსი ოკუპანტების დანაკარგები შემდეგია: ტანკები – 2.537; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 5.205; თვითმფრინავები – 268; ვერტმფრენები – 242; განადგურებულია 65.850 ოკუპანტი.

ყველაფერმა ამან აიძულა რუსეთის დიქტატორი, რომ ზავი მოეთხოვა. ზელენსკიმ კონტრმოთხოვნა წაუყენა. მან განაცხადა, რომ თუ მოსკოვს მართლაც ზავი სურს, ყველა ოკუპირებული ტერიტორია უნდა დატოვოს. ომიც გაგრძელდა.

რუსეთმა აქცენტი კრიტიკული ინფრასტრუქტურის განადგურებაზე გააკეთა. გათვლა მარტივია: კარს მომდგარი ზამთრის წინ, უკრაინის ელექტროენერგიისა და სინათლის გარეშე დატოვება. პუტინი დარწმუნებულია, რომ პასუხად უკრაინელი ხალხი რუსეთთან ზავს მოითხოვს.

უკრაინელებმა ოკუპანტების მოთხოვნები უარყვეს. ეს უკვე ყირიმის ხიდზე მომხდარი პროვოკაციისა და უკრაინის ტოტალური დაბომბვის დღეს წარმოჩინდა. კიევის მეტროში ჩასულ ზელენსკის ხალხი ტაშით შეხვდა. გაისმოდა მოწოდებები:

– სიკვდილი ოკუპანტებს! დროა განვახორციელოთ დარტყმები რუსეთის ტერიტორიაზე!

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის დასკვნის მიხედვით, ამ ეტაპზე უკრაინელებმა უნდა გაძლონ. რუსეთი დაბომბვებს აუცილებლად გააძლიერებს. ასეთ პირობებში გაძლება ფრონტზე მიღწეული გამარჯვებების გარეშე შეუძლებელია.

დღეისათვის ყველაზე კრიტიკული ვითარება შეიქმნა ბახმუტთან. ოკუპანტები ცდილობენ ქალაქ ტორეცკოს გავლით ბახმუტში შეაღწიონ. მტერს უკეთესი არტილერია აქვს, რიცხობრივი უპირატესობაც გააჩნია, პოზიციებიც ხელიდან ხელში გადადის. მიუხედავად ურთულესი მდგომარეობისა, უკრაინელები მედგრად დგანან. მათი დაცვის გარღვევა მტერმა ვერ შეძლო.

მეორე მნიშვნელოვანი წერტილია ხერსონი. იქ ბახმუტისაგან განსხვავებით, უკრაინელებს აქვთ უპირატესობა. აუცილებელია ხერსონის აღება უახლოეს მომავალში. ამერიკელი ექსპერტები თვლიან, რომ ეს რეალურია.

მსგავსი ვითარებაა ზაპოროჟიეს ოლქშიც. უკრაინელებმა შესაძლოა დაიკავონ მელიტოპოლი და მტრისაგან გაწმინდონ მთელი ზაპოროჟიეს ოლქი.

ცალკე საუბრის თემაა დონბასი. უკრაინული არმია განაგრძობს შეტევებს კრემენნოეზე. იკვეთება მარიუპოლის ან ლისიჩანსკის გათავისუფლების პერსპექტივაც. ყოველივე უახლოესი დროის ამოცანებია. რაც შეეხება ყირიმს, მისი გათავისუფლება ალბათ უკვე მომავალ წელს დაიწყება.

# მაფიის შიშით ნიდერლანდების პრინცესა სასახლეში გამოკეტეს



ნიდერლანდების მეფის ვილემ-ალექსანდრეს უფროსი ქალიშვილი კატარინა-ამალია აიძულეს, ამსტერდამის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი დაეტოვებინა და ის, ფაქტობრივად, სასახლეში გამოკეტეს, რისი მიზეზიც მაფიის მხრიდან მომდინარე საფრთხეები გახდა.

18 წლის ნიდერლანდელი პრინცესას უნივერსიტეტის კამპუსიდან ჰააგაში მდებარე ჰეის-ტენ-ბოსის სასახლეში გადაბარგების თაობაზე ინფორმაცია სამეფო ოჯახის წარმომადგენლებმა გაავრცელეს. შვედეთში ვიზიტის დროს მეფე ვილემ-ალექსანდრემ განაცხადა, რომ მის ქვეყანაში მეტად რთული ვითარებაა.

რა ხასიათის მუქარებს აქვს ადგილი ბოროტმოქმედების მხრიდან ტახტის მემკვიდრის მისამართით, უცნობია. თუმცა გასული თვის ბოლოს ნიდერლანდურ მას მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრინცესა კატარინა-ამელია გაძლიერებული დაცვის ქვეშ იმყოფება.

– ეს მასზე უდიდეს გავლენას ახდენს. მან ამსტერდამი დატოვა და ქუჩაში გასვლაც კი არ შეუძლია, – განმარტა ნიდერლანდების დედოფალმა მაქციმამ.

შექმნილი მდგომარეობის გამო საკუთარი შეშფოთება გამოხატა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მარკ რიუტემ და მას „საშინელი" უწოდა. ნიდერლანდების იუსტიციისა და უსაფრთხოების მინისტრმა დილან იეშილგეზ-ზეგერიუსმა თავის მხრივ განაცხადა, რომ მისი უწყება პრინცესას სრული უსაფრთხოების დაცვის გარანტიას იძლევა.

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ნიდერლანდების პრინცესა შესაძლოა დანაშაულებრივი დაჯგუფების თავდასხმის ობიექტი გახდეს, სექტემბერში გავრცელდა. მაშინ განაცხადეს, რომ გოგონა შესაძლოა ე.წ. მოკრო მაფიის წარმომადგენლებმა გაიტაცონ. ეს არის მაროკოული დანაშაულებრივი სინდიკატი, რომელიც მთელ ევროპაში კოკაინის ტრაფიკის მესამედს აკონტროლებს.

# ქალაქ მელიტოპოლში აფეთქებათა სერიები გრძელდება



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. თანახმად უკანასკნელი ცნობისა, რუსეთმა უკრაინის რიგ ქალაქებზე სარაკეტო დარტყმები განახორციელა. დაარტყეს კიევს, დონბასის იმ ნაწილს, რომელსაც უკრაინა აკონტროლებს, აგრეთვე სუმს, დნეპროპეტროვსკის ოლქებს, ქალაქებს ოდესასა და ნიკოლაევს. უკრაინელებმა რაკეტების უმეტესობა ჩამოაგდეს. მიუხედავად ამისა, ზოგი მათგანი მიზანს მოხვდა. კიევში დაინგრა საცხოვრებელი სახლი. დაიღუპა ოთხი ადამიანი, დაშავდა ოთხი.

რაც შეეხება მდგომარეობას ფრონტზე, ის შემდეგია: უკრაინელები განაგრძობენ შეტევებს კრემენნოეზე (დონბასი), განახორციელეს დარტყმები დონეცკზე, მაკეევკაზე გორლოვკასა და სხვა ქალაქებზე. ოკუპანტებსა და სეპარატისტებს შორის დიდი მსხვერპლია. გრძელდება შეტევა ლუგანსკის მიმართულებით. უკრაინელებმა კიდევ რამოდენიმე სოფელი დაიკავეს.

საინტერესო ვითარებაა უკრაინის სამხრეთშიც. რუსული წყაროების ინფორმაციით, უკრაინულმა სატანკო კოლონამ ხერსონთან ფრონტი გაარღვია. უკრაინული წყაროები ამას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. ზაპოროჟიეს ოლქში ძირითადად გრძელდება საარტილერიო დუელები. აქტიურად მოქმედებენ პარტიზანები. ქალაქ მელიტოპოლში აფეთქებათა სერიები გრძელდება. რამდენიმე ძლიერი აფეთქება მოხდა ბერდიანსკშიც.

# ტახზე ნადირობის დროს მამაკაცმა შემთხვევით ქალი მოკლა

საფრანგეთში 67 წლის ბრიტანელი ქალბატონი მამაკაცმა ტახზე ნადირობის დროს შემთხვევით მოკლა.

აღნიშნული ტრაგედია კვირას, 16 ოქტომბერს მოხდა. გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ქალი სიმინდის ყანაში 69 წლის მამაკაცთან ერთად გადაადგილდებოდა. მოულოდნელად, თოფი, რომელიც მონადირეს მხარზე ჰქონდა გადაკიდებული, გავარდა. ტყვია ქალს გულის არეში მოხვდა.

დაშავებული ქალბატონი ქალაქ სენ-ბრიეს საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის მოგვიანებით გარდაიცვალა. პოლიციამ მონადირე დააპატიმრა და საქმის გამოძიება დაიწყო.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი ტრაგიკული შემთხვევის დროს არ იმყოფებოდა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში. მიმდინარეობს ინციდენტის ზუსტი გარემოებების დადგენა.

# პუტინი გერმანიის ტერიტორიაზე ტერაქტებს გეგმავს?!

გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის შეფი ბრუნო კალი მიიჩნევს, რომ მოსკოვმა ვერ შეძლო გერმანიაში მასობრივი ანტიამერიკული მოძრაობის ინსპირირება. შესაბამისად, იგეგმება ტერაქტები იმ გერმანელ მოღვაწეთა წინააღმდეგ, ვინც ამას ხელს უშლის. ახლო მომავალში ნავარაუდევია მათი ფიზიკური ლიკვიდაცია.

კალმა კონკრეტული გვარები არ დაასახელა. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ტერაქტები იგეგმება და მათი თავიდან აცილებაა აუცილებელი.

კალი უკრაინაში შექმნილ ვითარებასაც შეეხო. მან თქვა, რომ შესაძლოა პუტინმა ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენოს და უკრაინას კრემლის პირობების მიღება აიძულოს.

– თუმცა არ გაგვაჩნია ინფორმაცია, რომ რუსეთი ამ ეტაპზე ბირთვული იარაღის გამოყენებას გეგმავდეს, – აცხადებს კალი.

# ტურისტის ჩანთაში ცოცხალი ალბინოსი ალიგატორი აღმოაჩინეს



42 წლის ამერიკელი ტურისტი ცდილობდა კონტრაბანდული ცოცხალი ალბინოსი ალიგატორი გერმანიიდან სინგაპურში გადაეყვანა.

გერმანიის აეროპორტის უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა რეპტილია ჩანთაში მას შემდეგ აღმოაჩინეს, როდესაც ამერიკელი ტურისტის ბარგი სპეციალურ მოწყობილობაში გააშუქეს. ბარგი საბაჟო სამსახურის თანამშრომლებს გადაეცა. მათ ჩანთა გახსნეს და შიგნით თეთრი ფერის ალიგატორი აღმოაჩინეს, რომელიც ცელოფანში იყო შეფუთული და სასუნთქად ხვრელები ჰქონდა გაკეთებული. ადგილზე გამოძახებულმა ვეტერინარმა რეპტილია გაათავისუფლა და პირველადი დახმარება გაუწია. მოგვიანებით ალბინოსი ალიგატორი მიუნხენის რეპტილიების ნაკრძალში გადაიყვანეს.

ამერიკელი ტურისტი, რომელიც საზღვარზე რეპტილიის გადაყვანას ცდილობდა, დააპატიმრეს. მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცს აზიაში რეპტილია შეეძლო 75 ათას ევროდ გაეყიდა.

# ტრაგედია ეისკში



რუსეთის ქალაქ ეისკში, რომელიც უკრაინის საზღვართან მდებარეობს, ტრაგედია მოხდა. რუსული ბომბდამშენი ცხრასართულიან სახლს დაეცა. შედეგად სახლს ცეცხლი წაეკიდა.

რუსულმა პროპაგანდამ მომხდარში უკრაინელები დაადანაშაულა.

– უკრაინელები ჩვენს თვითმფრინავებს აგდებენ. პილოტებსაც ნერვები დაჭიმული აქვთ! შედეგად მოხდა ტრაგედია, – აცხადებს ო ერ ტე.

# ბაიდენი ბრიტანეთის პრემიერის წინააღმდეგ



აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა ბრიტანეთის პრემიერი ლიზ ტრასი რიგ სერიოზულ შეცდომებში დაადანაშაულა. ამ შეცდომებმა ბრიტანეთი მიიყვანა ეკონომიკური კატასტროფის ზღვარზე:

– როგორც ჩანს, ტრასის მხარდაჭერა არასწორი იყო, – თქვა ბაიდენმა.

# აშშ უკრაინას შემდგომშიც დაეხმარება

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელიც უკრაინაში მიმდინარე ომს შეეხება.

– აშშ უკრაინას კვლავაც დაეხმარება. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ საჭირო იქნება, – ნათქვამია განცხადებაში.

# მამაკაცმა პოლიციის ძაღლს უკბინა

გერმანიის ჰესენის მხარის გინსჰაიმ-გუსტავსბურგის კომუნაში, მამაკაცმა, რომლის დაკავებას პოლიციელები ცდილობდნენ, მათ წინააღმდეგობა გაუწია და პოლიციის ძაღლს უკბინა.

ღამით თვითმხილველებმა პოლიციელები გამოიძახეს, რათა მათ აღეკვეთათ დაპირისპირება ორ 29 წლის მამაკაცსა და 35 წლის ქალს შორის. წესრიგის დამრღვევები მეტად აგრესიულად იქცეოდნენ და უარს ამბობდნენ დამორჩილებოდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მოთხოვნებს.

დაკავების დროს 35 წლის ქალმა პოლიციელს სახეში ხელი გაარტყა, ხოლო 29 წლის მამაკაცმა პოლიციის ძაღლს უკბინა. ამ ინციდენტის შედეგად ცხოველს სერიოზული დაზიანებები არ მიუღია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ნორვეგიაში რუსეთის ჯაშუშები დააკავეს

ნორვეგიის კონტრდაზვერვამ რუსეთის ოთხი ჯაშუში დააკავა. ისინი სამხედრო ობიექტების გადაღებით იყვნენ დაკავებულნი. ჯაშუშურ ჯგუფში შედიოდა სამი მამაკაცი და ერთი ქალი. დღეისათვის ყველა წინასწარი დაკავების საკანშია მოთავსებული.

– რუსების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, – იტყობინება „ამერიკის ხმა".

# რუსეთი უკრაინას კვლავ ბომბავს

რუსეთმა უკრაინა ისევ დაბომბა. ოკუპანტები ძირითადად ენერგოობიექტებსა და საცხოვრებელ სახლებს უმიზნებდნენ.

დაიბომბა ქალაქები კიევი, ოდესა, დნეპრი, კრივოი-როგი, როვნო, ტერნოპოლი. არის მსხვერპლი. კიევში დაღუპულთა რაოდენობამ 20-ს მიაღწია.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# შედეგები

17 ოქტომბერი
ფეხბურთი

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვილიარეალი-ოსასუნა .......................... 2:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 9 | 8 | 1 | 0 | 22-8 | 25 |
| 2.ბარსელონა | 9 | 7 | 1 | 1 | 21-4 | 22 |
| 3.ატლეტიკო | 9 | 6 | 1 | 2 | 15-7 | 19 |
| 4.ბეტისი | 9 | 6 | 1 | 2 | 13-6 | 19 |
| 5.სოსიედადი | 9 | 6 | 1 | 2 | 15-12 | 19 |
| 6.ბილბაო | 9 | 5 | 2 | 2 | 17-6 | 17 |
| 7.ვილიარეალი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-3 | 15 |
| 8.ვალენსია | 9 | 4 | 2 | 3 | 16-10 | 14 |
| 9.ოსასუნა | 9 | 4 | 1 | 4 | 9-10 | 13 |
| 10.რაიო | 9 | 3 | 2 | 4 | 10-12 | 11 |
| 11.სელტა | 9 | 3 | 1 | 5 | 10-16 | 10 |
| 12.სევილია | 9 | 2 | 3 | 4 | 9-14 | 9 |
| 13.მალიორკა | 9 | 2 | 3 | 4 | 7-10 | 9 |
| 14.ესპანიოლი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-16 | 9 |
| 15.ხირონა | 9 | 2 | 2 | 5 | 12-15 | 8 |
| 16.ვალიდოლიდი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-13 | 8 |
| 17.ხეტაფე | 9 | 2 | 2 | 5 | 8-16 | 8 |
| 18.ალმერია | 9 | 2 | 1 | 6 | 8-15 | 7 |
| 19.კადისი | 9 | 1 | 3 | 5 | 4-17 | 6 |
| 20.ელჩე | 9 | 0 | 3 | 6 | 6-21 | 3 |

## ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხიხონი-ეიბარი ......................................... 2:0

## იტალია. სერია ა

სამპდორია-რომა ................................ 0:1

ლეჩე-ფიორენტინა ................................ 1:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 10 | 8 | 2 | 0 | 25-8 | 26 |
| 2.ატალანტა | 10 | 7 | 3 | 0 | 16-6 | 24 |
| 3.მილანი | 10 | 7 | 2 | 1 | 20-10 | 23 |
| 4.რომა | 10 | 7 | 1 | 2 | 13-9 | 22 |
| 5.ლაციო | 10 | 6 | 3 | 1 | 21-5 | 21 |
| 6.უდინეზე | 10 | 6 | 3 | 1 | 19-10 | 21 |
| 7.ინტერი | 10 | 6 | 0 | 4 | 18-14 | 18 |
| 8.იუვენტუსი | 10 | 4 | 4 | 2 | 13-7 | 16 |
| 9.სასუოლო | 10 | 3 | 3 | 4 | 12-12 | 12 |
| 10.ემპოლი | 10 | 2 | 5 | 3 | 9-11 | 11 |
| 11.ტორინო | 10 | 3 | 2 | 5 | 7-12 | 11 |
| 12.სალერნიტანა | 10 | 2 | 4 | 4 | 12-16 | 10 |
| 13.მონცა | 10 | 3 | 1 | 6 | 9-15 | 10 |
| 14.ფიორენტინა | 10 | 2 | 4 | 4 | 8-12 | 10 |
| 15.სპეცია | 10 | 2 | 3 | 5 | 9-19 | 9 |
| 16.ლეჩე | 10 | 1 | 5 | 4 | 9-12 | 8 |
| 17.ბოლონია | 10 | 1 | 4 | 5 | 10-17 | 7 |
| 18.ვერონა | 10 | 1 | 2 | 7 | 9-19 | 5 |
| 19.კრემონეზე | 10 | 0 | 4 | 6 | 9-21 | 4 |
| 20.სამპდორია | 10 | 0 | 3 | 7 | 5-18 | 3 |

## საფრანგეთი. ლიგა 2

ბასტია-ბორდო ...................................... 1:1

## თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-ფენერბახჩე ................ 0:3

სივასი-გირესუნი .................................. 3:0

## საბერძნეთი. სუპერლიგა

ოლიმპიაკოსი-პაოკი ............................ 1:2

## დანია. სუპერლიგა

სილკებორგი-რანდერსი ...................... 3:3

## შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-მალმიო .......................... 2:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ქარიმ ბენზემა ოქროს ბურთის მფლობელია



„ოქროს ბურთის“ რიგით 66-ე მფლობელი საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის რეალის შემტევი ქარიმ ბენზემა გახდა. ბენზემამ პრესტიჟული პრიზი 34 წლისა და 290 დღის ასაკში მიიღო, რაც ისტორიაში მე-2 შედეგია. ბენზემაზე უფროსი მხოლოდ ლეგენდარული სტენლი მეტიუზი იყო, ვინაც „ოქროს ბურთი“ 41 წლისა და 321 დღისამ მიიღო.

ქარიმი მეხუთე ფრანგია, რომელიც ამ პრესტიჟული ჯილდოს მფლობელად გამოაცხადეს. მანამდე ამ წარმატებას რეიმონდ კოპამ (1958), მიშელ პლატინიმ (1983,1984,1985), ჟან-პიერ პაპენმა (1991) და ზინედინ ზიდანმა (1998) მიაღწიეს.

ბენზემას პრიზი სწორედ მისივე ლეგენდარულმა თანამემამულემ ზინედინ ზიდანმა გადასცა. 34 წლის ფრანგმა გასულ სეზონში ლა ლიგა და ჩემპიონთა ლიგა მოიგო და ორივე ტურნირის ბომბარდირი გახდა. სულ მის აქტივში 46 მატჩში 44 გოლი იყო.

**ქარიმ ბენზემა:**

– იმ დროს ვიხსენებ, როდესაც პატარა ვიყავი. ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ 2 ადამიანი იყო, ვისი მიბაძვაც მსურდა – ზინედინ ზიდანი და რონალდო. ეს ყველაფერი დიდი შრომის შედეგია. იყო რთული მომენტებიც. იმ პერიოდში, როდესაც ნაკრებში ვერ ვხვდებოდი, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ყველაფერი გადავიტანე და ვეცდები, ასევე გავაგრძელო.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს თანაგუნდელებს და დიდ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს. ის ჩემთან ყოველთვის გულახდილი იყო. არ მავიწყდება ჟან-მიშელ ოლაც ლიონიდან. მათ გარეშე ოცნების ახდენას ვერ მოვახერხებდი.

ვფიქრობ, რომ ასაკს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. 30 წლის შემდეგ ბევრი უფრო უმატებს კიდეც. მეც ასე ვარ. ეს მიზანსწრაფულობისა და დიდი შრომის შედეგია. ახლა გაცილებით მეტს ვვარჯიშობ და საკუთარ თავს ვეუბნები, რომ დანებება არ შეიძლება.

ბავშვობაში სულ სამი ოცნება მქონდა: მეყიდა დედასთვის სახლი, მეთამაშა მადრიდის რეალში და „ოქროს ბურთი“ მომეგო.

მეორე ადგილზე ლივერპულის ყოფილი, ამჟამად კი, მიუნხენის ბაიერნის სენეგალელი ლეგიონერი სადიო მანე გავიდა; მესამე ადგილზე კევინ დე ბრუინი (მანჩესტერ სიტი, ბელგია) აღმოჩნდა; მეოთხეზე – პოლონელი რობერტ ლევანდოვსკი, რომელიც ბაიერნიდან ბარსელონაში გადაბარგდა; გამოკითხვაში მეხუთე ადგილზე მოჰამედ სალაჰი (ლივერპული, ეგვიპტე) გავიდა; მეექვსეზე – კილიან მბაპე (პსჟ, საფრანგეთი), მეშვიდეზე – ტიბო კურტუა (რეალი, ბელგია); მე-8 ადგილი ვინისიუს ჟუნიორს (რეალი, ბრაზილია) ერგო; მე-9 – ლუკა მოდრიჩს (რეალი, ხორვატია), ხოლო მე-10 – ერლინგ ჰაალანდს (სიტი, ნორვეგია).

აღსანიშნავია, რომ მანჩესტერ იუნაიტედის შემტევი კრიშტიანო რონალდო მხოლოდ მე-20 ადგილზე გავიდა, რაც უკვე შორეული 2005 წლის შემდეგ არ მომხდარა. მას მერე პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ჯილდო 5-ჯერ მოიგო და ამ მხრივ მხოლოდ არგენტინელ ლიონელ მესის (7) ჩამორჩება. თავად ლეო ამ სეზონში ნომინანტთა შორისაც კი არ ყოფილა.

ჟურნალი ფრანს ფუტბოლი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს „ოქროს ბურთით“ 1956 წლიდან, ყოველწლიურად აჯილდოებს. გამარჯვებულს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები ხმის მიცემით ავლენენ. 2010-იდან 2015 წლამდე ფრანს ფუტბოლი და ფიფა გამარჯვებულს ერთად აჯილდოებდნენ, მაგრამ 2016 წლიდან მხარეებმა თანამშრომლობა აღარ ისურვეს. წლეულს პირველად პრიზები არა კალენდარული წლის, არამედ სეზონის შედეგებით განაწილდა.

ქალთა ოქროს ბურთი წელს მეოთხედ გათამაშდა და ზედიზედ მეორედ ჯილდო ბარსელონას 28 წლის ფეხბურთელს ალექსია პუტელიასს გადაეცა.

ლეგენდარული რუსი გოლკიპერის ლევ იაშინის სახელობის ჯილდო წლის საუკეთესო მეკარეს გადაეცემა. ნომინაციაში გამარჯვებული რეალისა და ბელგიის ნაკრების კარის დარაჯი ტიბო კურტუა გახდა.

წლის საუკეთესო ახალგაზრდა (21) ფეხბურთელის ჯილდო, რომელიც ლეგენდარული რაიმონ კოპას სახელს ატარებს. 18 წლის გავი დაასახელეს.

შარშანდელის მსგავსად, საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი ჯილდო ამჯერად უკვე ბარსელონას თავდამსხმელმა რობერტ ლევანდოვსკიმ ჩაიბარა. ის წინა სეზონში მიუნხენის ბაიერნის ღირსებას იცავდა და ყველა ტურნირზე ერთად ჩატარებულ 46 მატჩში 50 გოლი გაიტანა.

სოკრატესის პრიზი წელს პირველად დაწესდა და იმ ფეხბურთელს გადაეცემა, რომელიც საქველმოქმედო პროექტებში აქტიური მონაწილეობითა და სამოქალაქო აქტიურობით გამოირჩევა. პრიზი ლივერპულის მიუნხენის ბაიერნის სენეგალელ ლეგიონერ სადიო მანეს გადაეცა.

საუკეთესო კლუბის ტიტული კი, მანჩესტერ სიტის ერგო. სიტის კაცთა გუნდმა პრემიერლიგა მოიგო და თან 99 გოლი გაიტანა, ჩემპიონთა ლიგაში ნახევარფინალში ითამაშა, ქალთა გუნდი ლიგის თასის გამარჯვებული გახდა.

# შავი ლომი ისრაელში დამარცხდა

**თელ ავივ ჰითი (ისრაელი) – შავი ლომი (საქართველო) 24:18**



რაგბი ევროპის სუპერ თასის მეოთხე ტურში, სამხრეთაფრიკელი და ფიჯელი მორაგბეებით დაკომპლექტებულმა ჰითმა შავ ლომს თელავივში 24:18 სძლია.

ისრაელის გუნდი ქართული ფრენჩაიზისთვის კერკეტ კაკალად იქცა. მეტოქემ გამარჯვება არც პირველ წრეში, ქუთაისში დაგვანება (25:25), განმეორებით შეხვედრაში კი სულაც ნუგეშ-ქულას დაგვაჯერა.

თამაში ხისტი გამოდგა. ხშირი იყო ტრავმები და გუნდებს ტონუსში შესვლა გაუჭირდათ. გარდა ამისა, ორივე გუნდი უშვებდა შეცდომებს, რითაც მეტოქემ უკეთ ისარგებლა და სასურველი შედეგი დააფიქსირა.

ანგარიში ფაქტობრივად პირველივე შეტევის შემდეგ გაიხსნა. ქართველებმა დაცვაში უყურადღებოდ ითამაშეს, ჰითის კვაჭმა ხაზი გაჭრა, ლელოს კი, ზუსტი გარდასახვა მოყვა. განახლდა თუ არა თამაში, დემე თაფლაძე ბურთს დაეუფლა, მბოჭავს დაუსხლტა, ხაზი გაჭრა და 40-მეტრიანი დრიბლინგი ინდივიდუალური, საპასუხო ლელოთი დაასრულა. გიორგი ბაბუნაშვილმა გარდასახვა ვერა, მაგრამ მე-11 წუთზე ჯარიმა გაიტანა და შავი ლომი დააწინაურა.

ჰითმა 23-ე წუთზე ჯარიმით გვიპასუხა, სამიოდე წუთში კი სტუმართა მეორე ლელო გავიდა. ნოდარ ჭეიშვილმა მეტოქე ცენტრში შეაწუხა და ბურთი დააკარგვინა, გიორგი ბაბუნაშვილმა ფეხი წაკრა, აკა ტაბუცაძემ მცველს სისწრაფეში აჯობა, მაგრამ ზედ ლელოს ხაზთან წესების დარღვევით შეაჩერეს და მეტოქე სინბინით დაისაჯა. ჯარიმა გავითამაშეთ, რამდენიმე ფაზის შემდეგ მიხეილ გაჩეჩილაძემ რაქიდან ნულოვან ზონაში შეუტია და ბურთი ძელებსშუა დაამიწა, ბაბუნაშვილმა გარდასახა. მასპინძლებმა შეძლეს საპასუხო შეტევისას ფაზების აკინძვა, მაგრამ წინსვლა არ ჰქონდათ, ამიტომ არეკნის დარტყმა გადაწყვიტეს და სხვაობა 2 ქულამდე დაიყვანეს.

ტაიმის მიწურულს შავმა ლომმა ლელოზე ითამაშა, ორჯერ ააგორა მოლი და პირველს მეტოქე სინბინით შეეწირა, მერე კი ბურთი ჩაიხურა – 15:13.

მეორე ტაიმის საწყის 10 წუთში თელავიველებმა ორი ჯარიმა გაიტანეს, მათ შორის კი, ერთი ზუსტი დარტყმა ბაბუნაშვილმა შეასრულა. უპირატესობის დაბრუნება 55-ე წუთზე შეიძლებოდა, მაგრამ ქართველებმა ჯარიმის კარში დარტყმას ლელოზე თამაში არჩიეს და უქულოდ დარჩნენ. მატჩის დასკვნით მეოთხედში ჰითმა ერთხელაც აკინძა ფაზები, მარჯვენა ფრთაზე ფეხითაც ითამაშეს და ალამთან ლელო გაიტანეს. რადგან გარდასახვა არაზუსტი იყო, შავი ლომი დასკვნით წუთებში ლელოს გატანას ეცადა, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა და ჰითმა 24:18 იმარჯვა.

მიუხედავად მარცხისა, 4 ტურის შემდეგ აღმოსავლეთ კონფერენციას 13 ქულით შავი ლომი ლიდერობს. 10 ქულა აქვს ჰითს და ერთით უსწრებს ბათუმს, რუმინული ვულვზი 5 ქულით ბოლო საფეხურზეა. მეხუთე ტურში ბათუმი ჰითს თელავივში ეთამაშება და გამარჯვების შემთხვევაში მინიმუმ მეორე ადგილზე დაწინაურდება, შავი ლომი კი ბუქარესტში ვულვზს ესტუმრება.

# შერმადინი საუკეთესოა, მაკფადენმა მურსიას მოაგებინა



საქართველოს ნაკრებს ნოემბერში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი აქვს სათამაშო, გუნდში კი რთული სიტუაციაა. ვერ დაგვეხმარებიან „ამერიკელები“, რამდენიმე კალათბურთელს ტრავმა აწუხებს, ბევრი ევრობასკეტისთვის ფორმაში არ იყო.

თუმცა, როგორც ჩანს, გიორგი შერმადინმა ოპტიმალურ ფორმას მიაღწია და სეზონის სტარტზე მცირე შეფერხების შემდეგ, ქართველმა ცენტრმა, თავად რომ სჩვევია, ისეთი მატჩი შემოგვთავაზა. შერმადინი ობრადოირორთან მატჩის მვპ გახდა და ტენერიფეს მეტოქის დამარცხებაში უდიდესი დახმარება გაუწია.

კანარის კუნძულელებმა პირველი მეოთხედი 16:24 დათმეს, მაგრამ შემდეგ თამაში შეატრიალეს და საბოლოოდ იოლად გაიმარჯვეს – 86:67. ამაში ლომის წილი მიუძღვის ქართველ ცენტრს, რომელიც მოედანზე საუკეთესო იყო – 19 ქულა და 7 მოხსნა.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 25 წუთი გაატარა. ქულებითაც და მოხსნებითაც ორივე გუნდში საუკეთესო იყო. გიორგიმ 7-დან 6 ორქულიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო და თამაში პლუს 10-ით დაასრულა. მის ანგარიშზე თითო ჩაჭრა და დაფარებაცაა, ბურთი 2-ჯერ დაკარგა და 3 პერსონალური შენიშვნა მიიღო. 27 მარგი ქმედების კოეფიციენტით შერმადინი საუკეთესო იყო.

ტენერიფეს ოთხიდან ოთხი მოგება აქვს და 100%-იანი შედეგით ლიდერობს. 22 ოქტომბერს ტენერიფე ბარსელონას ესტუმრება, რომელიც 4-დან 3 მოგებით მეორე ადგილზეა.

ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში თად მაკფადენის მურსიამ სტუმრად ვალენსიასთან ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა და ეს საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი მოთამაშის დიდი დამსახურებაა.

მურსიელებმა ბოლო იერიში სწორედ მაკფადენს მიანდეს, რომელმაც ჩვეული ურთულესი სამქულიანი ისროლა და როგორც აღმოჩნდა, საფინალო სირენამდე 8 წამით ადრე, ტაბლოზე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. არადა, სტუმრები, თამაშის უმეტესი ნაწილი, მდევრის როლში იყვნენ და ბოლო მეოთხედში გამოფხიზლდნენ, რომელშიც 10:0 გაქცევაც ჰქონდათ. მაკფადენის სამქულიანის შემდეგ მურსიელები 75:74 დაწინაურდნენ და შეხვედრაც ამ ანგარიშით დასრულდა.

მაკფადენი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 21 წუთში 11 ქულა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა 4-დან 1 ორქულიანი და 8-დან 3 სამქულიანი ჩააგდო, ბურთი 3-ჯერ დაკარგა, ერთხელ დაუფარეს და 1 პერსონალური ფოლი მიიღო.

მურსიამ 4 ტურში მე-2 გამარჯვება იზეიმა და მე-10 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს შინ, მანრესასთან ჩაატარებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი წევრის, ალექსანდრე ფევაძის გუნდი, ლაგუნა შარკსი კი, რუმინეთის ჩემპიონატში თამაშს თამაშზე აგებს, მაგრამ ქართველი ფორვარდი პირადი სტატისტიკით ერთ-ერთი გამორჩეულია. გასულ მატჩში ფევაძე ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო, როცა ლაგუნდა ბუქარესტის დინამოსთან 51:88 დამარცხდა.

ფევაძე მატჩში 17 ქულა, 1 მოხსნა და 1 პასი მიითვალა და მოედანზე მყოფთაგან ყველაზე სარგებლიანიც გახდა. გასულ 3 ტურში ალექსანდრეს ჯამში 46 ქულა აქვს ჩაგდებული.

ლაგუნა შარკსმა ზედიზედ მესამე მატჩი წააგო და ჩემპიონატის ბ ჯგუფში მე-7 ადგილს იკავებს. ფევაძის კლუბი მომდევნო ტურში ბუქარესტის სტიაუას შეხვდება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მოკარნახე თეატრში; 2. ფეთქებადი ჭურვი; 3. გონებასუსტი ადამიანი; 4. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 7. ხრახნული კონვეიერი; 9. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 12. სავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 14. კათოლიკური საგალობელი; 15. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 20. ორსართულიანი ლაზური სახლი.

**თარაზულად:** 5. იაპონელი კინორეჟისორი; 6. საფრანგეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 8. თამბაქოს წარმოების ერთ-ერთი ცენტრი თურქეთში; 10. ჩრდილო ამერიკელ ინდიელთა რბილი ტყავის ფეხსაცმელი; 11. მონარქიული სახელმწიფო აზიაში; 13. გერმანული ლუდი; 16. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 18. გემის, თვითმფრინავის სვლის მიმართულება; 19. ქვეწარმავლის შხამი; 21. მონასტერი ხულოს რაიონში; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის ნაკრძალში; 23. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი იტალიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბუდვაიზერი; 2. კორომი; 3. სანიოლი; 4. ჯინგო; 5. ფასკუნჯი; 6. დიქტი; 7. ჰამსუნი; 9. ნადალი; 13. ტენგე; 17. ნუგა; 18. არა.

**თარაზულად:** 1. ბამბუკი; 3. სირაჯი; 8. მარიცა; 10. დონჩიჩი; 11. გარდა; 12. ბოდრუმი; 14. აზალია; 15. თრილერი; 16. ჯანღი; 19. ბოგოტა; 20. ჭიდაობა; 21. ბურახი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გამბუზია; 2. წინდა; 3. შერატონი; 4. მეტეხი; 7. ებანი; 9. ოსუმი; 12. აგლომერატი; 14. პერესი; 15. ილუმენი; 17. მოლუსკი; 20. შატლი.

**თარაზულად:** 5. პასკვილი; 6. არეშიძე; 8. ჭიდაობა; 10. სენატორი; 11. პიექსი; 13. ეპილოგი; 16. ბიოსფერო; 18. ნორმა; 19. სუფსა; 21. ფაუსტი; 22. ანასეული; 23. ბერკუტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 ოქტომბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.7627 | ევრო — 2.7141 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1125 | 100 რუსული რუბლი — 4.4714 |

## ამინდის პროგნოზი 19 ოქტომბრისათვის




## ლევანდოვსკი: „ოქროს ბურთის მოგება მომავალში შემიძლია“



ბარსელონას პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ ოქროს ბურთზე ისაუბრა და თქვა, რომ მას არ წყდება გული იმის გამო, რომ წელს ეს ჯილდო ვერ მოიგო, რადგან მომავალში მას ამის შანსი კიდევ ექნება: „მინდა ბენზემას მივულოცო, რადგან მან ეს გამარჯვება დაიმსახურა. ოქროს ბურთისთვის კიდევ ვიბრძოლებ და მომავალში უკეთესი შანსი მექნება“.

## კვარაცხელიას თანაგუნდელებიც აქებენ




ნაპოლის ქართველ ვარსკვლავს ხვიჩა კვარაცხელიას უკვე არა მარტო საფეხბურთო ექსპერტები, არამედ მისი თანაგუნდელებიც აქებენ და შეიძლება ითქვას, რომ ხვიჩა უკვე ნაპოლის ლიდერი გახდა და მის მიმართ იტალიაში დიდი ინტერესია. ჯაკომო რასპადორიმ ბოლონიასთან მატჩის შემდეგ თქვა, რომ კვარაცხელიას გარეშე ნაპოლი ვერ შეძლებდა ამდენი მატჩის მოგებას და ის ბრწყინვალე ფეხბურთელია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## შალვა ქიქოძის სახელობის კარიკატურის ფესტივალს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შალვა ქიქოძის სახელობის ქართული კარიკატურის ფესტივალი გაიხსნა, რომელიც უკვე მეორედ გაიმართა.

ფესტივალის ფარგლებში ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმში ქართული კარიკატურებისა და შარჟების გამოფენა მოეწყო. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცული ოსკარ შმერლინგის, შალვა ქიქოძის, გიგლა ფირცხალავასა და მურთაზ აბაშიძის მიერ შესრულებული ნამუშევრები.

ქართული კარიკატურის ფესტივალის ფარგლებში ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიგეგმა მასტერკლასები და ლექციები ქართული კარიკატურის ჟანრის, მისი განვითარებისა და მნიშვნელობის შესახებ. მასტერკლასების ჩატარების სურვილი ქართველმა და უცხოელმა კარიკატურისტებმა გამოთქვეს, რომლებმაც ქართველ შემოქმედებთან ერთად, კარიკატურის ჟანრთან დაკავშირებით, თავიანთი ქვეყნების გამოცდილებაზე ისაუბრეს.

ფესტივალის ორგანიზატორებმა მისი დასრულება მასტერკლასების დროს შექმნილი ნამუშევრების გამოფენითა და შალვა ქიქოძის სახელობის პრემიის გადაცემით გადაწყვიტეს.

## იუმორი

ქალი მამაკაცს ეკითხება:
– თქვენ ვინ ხართ?
– მამაკაცი თქვენი ფანტაზიებიდან!
– და მარტო რატომ ხართ?

●●●

შვილი დედას ეკითხება:
– დედიკო, ანგელოზები დაფრინავენ?
– დაფრინავენ, შვილო, დაფრინავენ.
– აბა, გუშინ მამამ ჩვენს მოსამსახურე ნინის რომ უთხრა, ანგელოზო და ის არ გაფრენილა?
– ხვალ დილით გაფრინდება, შვილო, ხვალ დილით!!!

●●●

ნათესავი მამაკაცს ეკითხება:
– შენი სიდედრი ამ ერთ თვეში უკვე მესამედ რატომ მოიწამლა სოკოთი?
– ეს სკლეროზის ბრალია, ჩემთვის ამზადებს, მაგრამ შემდეგ ავიწყდება და თავად ჭამს.

●●●

ორი მეგობარი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:
– რით განსხვავდება ახალგაზრდა სპეციალისტი გამოცდილისგან?
– ახალგაზრდამ მუშაობა არ იცის, ხოლო გამოცდილმა იცის, როგორ არ იმუშაოს.

●●●

მამაკაცი ოფიციანტს ეკითხება:
– გარეული იხვი გაქვთ?
– შინაური რომ გადავრიოთ, არ წავა?

●●●

სექსოპათოლოგს მამაკაცი ეკითხება:
– ექიმო, რატომ არის, რომ როდესაც მე და ჩემი ცოლი სექსით ვართ დაკავებული, ხან მცხელა და ხან მცივა?
– გასაკვირია. მოდი, თქვენს მეუღლეს მოვუსმინოთ, რას გვეტყვის ამაზე.
ცოლი ექიმს ეუბნება:
– რა არის ამაში გასაკვირი, ერთხელ იანვარში, ერთხელაც – ივლისში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ირაკლი ჩარკვიანის მუსიკაზე სპექტაკლი დადგმულია



ვასო აბაშიძის სახელობის ახალ თეატრში რეჟისორმა დათო დოიაშვილმა ირაკლი ჩარკვიანის მუსიკაზე სპექტაკლი დადგა.

„მე გადმოვცურავ ზღვას“ – ასე ეწოდება წარმოდგენას, რომლის პრემიერაც 20 ოქტომბერს გაიმართება.

მეფე ირაკლი ჩარკვიანის მუსიკის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში მუსიკის და ტექსტის ავტორები ირაკლი ჩარკვიანი და ქეთათო პოპიაშვილი არიან, პიესის ავტორი – ბასა ჯანიკაშვილი, პროექტის მთავარი მუსიკალური პროდიუსერი – გიორგი ასანიშვილი, მუსიკალური ვერსიების ავტორი – გიორგი ასანიშვილი, ბეთხო და მებო ნუცუბიძე, ოთხი მუსიკალური ვერსიის ავტორი – გიორგი ცაგარელი და ბექა გოჩიაშვილი.

განსაკუთრებულ მადლობას შემოქმედებითი ჯგუფი გიორგი ცაგარელს უხდის. პროექტი განხორციელდა „შარქ თენქ საქართველოს“ მხარდაჭერით, სადაც დავით დოიაშვილმა და ბასა ჯანიკაშვილმა 5 ინვესტორისგან 200.000 ლარი მიიღეს.

## ცხინვალის თეატრი ყაზახეთში დააჯილდოვეს



ცხინვალის თეატრი ყაზახეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე დააჯილდოვეს.

ინფორმაცია თეატრმცოდნე **ლაშა ჩხარტიშვილმა** გაავრცელა:

– ყაზახეთში, ქალაქ ალმაატაში მეორე საერთაშორისო ფესტივალზე „ისაბეკოვის სამყარო“ ცხინვალის მაჩაბლის თეატრმა ორი პრიზი მიიღო: გოჩა კაპანაძემ საუკეთესო რეჟისურისთვის და ჟიურის სპეციალური პრიზი – ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ლელა მახნიაშვილმა სპექტაკლში „ქალბატონი მსახიობი“.

## ქართველი მომღერლები ისრაელში ერთობლივ კონცერტს გამართავენ

ქართული ესტრადის ცნობილი მომღერლები ნინი ბადურაშვილი, რატი დურგლიშვილი, ნოდიკო ტატიშვილი, მაკა ზამბახიძე, ლაშა რამიშვილი, თემურ თათარაშვილი, აჩიკო ნიჟარაძე, თიკა ფაცაცია, აჩიკო სოლოღაშვილი ისრაელში ერთობლივ კონცერტს გამართავენ.

20 ოქტომბერს ქალაქ აშდოთში დაგეგმილ კონცერტზე მისულ მსმენელს განსაკუთრებული საკონცერტო პროგრამა და დაუვიწყარი საღამო ელოდება.

## ვაჟა ხაჩიური ძველი საკერავი მანქანების დეტალებით უნიკალურ ნამუშევრებს ქმნის



პროფესიით ენერგეტიკოსი ვაჟა ხაჩიური ძველი საკერავი მანქანების დეტალებით უნიკალურ ნამუშევრებს ქმნის.

მისი კოლექცია ხელოვნების სასახლეშია წარმოდგენილი და პერსონალურ გამოფენაზე მათი ნახვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

იგი სტიმპანკის მიმართულებით საქართველოში ერთადერთი მაღალი დონის ხელოვანია. ნამუშევრებში ძველი საკერავი მანქანის დეტალების გარდა, გამოყენებულია თითბერი, ბრინჯაო, ორგმინა, მერქანი, ტყავი და დიოდური სანათები.

ვაჟა ხაჩიურის უნიკალური ნამუშევრების გამოფენა ხელოვნების სასახლეში 6 ნოემბრამდე გაგრძელდება.

## სანდრო ნებიერიძემ საავტორო კონცერტი ჩაატარა



პიანისტმა და კომპოზიტორმა სანდრო ნებიერიძემ კონსერვატორიის მცირე დარბაზში საავტორო კონცერტი ჩაატარა. საღამოზე აჟღერდა კამერული და საფორტეპიანო ნაწარმოებები.

ამ პირველი სრულ საავტორო საღამოზე მსმენელმა მოისმინა სანდრო ნებიერიძის საპრემიერო ნაწარმოებები და ასევე მისი უკვე ცნობილი კომპოზიციები.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო ჩელისტმა ლიზი რამიშვილმა, ხოლო სპეციალური სტუმრის სტატუსით შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარდგა ნატალია ქუთათელაძე, რომელმაც შეასრულა თეატრალურ-მუსიკალური მინიატურა მეცო-სოპრანოსა და ფორტეპიანოსთვის – გიორგი სარჯველაძის ტექსტის მიხედვით.

**სანდრო ნებიერიძე, პიანისტი:**

– დიდი ხნის გეგმის და დაგეგმილის მრავალჯერ შეცვლის შემდეგ, ჩემი პირველი, სრულიად საავტორო მუსიკის საღამო ჩატარდა ჩემი მშობლიური კონსერვატორიის მცირე დარბაზში.

მე და ჩემმა უძვირფასესმა ლიზი რამიშვილმა ოთხი საპრემიერო და ასევე, უკვე ნაცნობი ნაწარმოებები შევასრულეთ, ხოლო განსაკუთრებულ სტუმრად გვეწვია ყველასათვის საყვარელი ნატალია ქუთათელაძე, რომელთან ერთადაც შესრულდა სპეციალურად წინანდლის ფესტივალისთვის დაკვეთილი „პომპეზური რაფსოდია“, ჩემი ძმისა და სამაგალითო ადამიანის – გიორგი სარჯველაძის ფანტასტიკური ვერლიბრის მიხედვით.

მასპინძლობისა და მხარდაჭერისთვის, რაღა თქმა უნდა, უღრმესი მადლობა ჩემს ყოფილ ლექტორს და კონსერვატორიის არაჩვეულებრივ რექტორს ნანა შარიქაძეს, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც ხელი შეგვიწყო და კონცერტის ორგანიზებაში დაგვეხმარა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 19 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **კურო** – პასიურად ხართ. მოთმინება გმართებთ. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **ტყუპები** – პოზიტიური პერიოდი გაქვთ. იდეების რეალიზაციაში ხელი არ გეშლებათ. მივლინებები, ქალაქგარეთ გასვლა რეკომენდებულია. **კირჩხიბი** – მრავალ ხელსაყრელ პროექტს დიდი ძალისხმევის გარეშე ხორცს შეასხამთ. ნუ დაივიწყებთ მათ, ვინც ადრე დახმარების ხელი გამოგიწოდათ. **ლომი** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა ენერგიით აღგავსებთ. ნებისმიერ რთულ სიტუაციას თავს დააღწევთ. **ქალწული** – თქვენი კეთილდღეობისათვის ოჯახში არსებულ ემოციურ ფონს დიდი მნიშვნელობა აქვს. პირად ცხოვრებაში იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. ახლობელთან უსიამოვნო საუბარი გელით. **ღრიანკალი** – გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ხალხმრავალ ადგილებს ერიდეთ. დაისვენეთ და გაერთეთ. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა, რომანტიკული პაემანი. თქვენი ძალისხმევა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. **თხის რქა** – დეპრესიული პერიოდი გაქვთ. კარგი იქნება განმარტოება და საკუთარ თავთან მარტო დარჩენა. **მერწყული** – მოვლენები თქვენთვის მოულოდნელი მიმართულებით განვითარდება. ძალზე ემოციური და დაძაბული დღეა. ემოციები მოთოკეთ. **თევზები** – მეგობრებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. მთავარია, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ბერნარდ შოუს პიესა; 2. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 3. მჭედლის სამუშაო იარაღი; 4. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 5. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 6. ძვირფასი სარეწაო თევზი; 7. ხელის კუნთების სავარჯიშო, სატანვარჯიშო იარაღი; 9. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 13. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი; 17. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 18. კორეული მსუბუქი ავტომობილი.

**თარაზულად:** 1. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 3. ძველი ფრანგული ტომი; 8. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 10. შემოდგომის ხილი; 11. პატარა სახლი ჩინეთის სოფლებში; 12. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 14. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 15. ქართული მითოლოგიის გმირი; 16. საჭმელი სოკო; 19. მსუბუქი ავტომობილის ძარის ერთ-ერთი ტიპი; 20. ძვირფასი ქვებით შემკული ქალის გვირგვინი; 21. ფერადი საქარგავი ძაფი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*